წარმოდგენილი მონაცემები კიდევ ერთ ხელ მიუთითებს, რომ მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი ქვეყანაში პროგრესულად კლებულობს, რაც ასახვას ჰპოვებს მოსახლეობის აღწარმოების დონის კლებაშიც. თუ 1979 წელს საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ყოველი 1000 ქალიდან 231 იყო ერთშეილიანი, 240 – ორშეილიანი, 329-ს კი ჟყვავდა სამი და მეტი შეილი, 1989 წლის აღწერამ დააფიქსირა მრავალშვილიანი დედების რაოდენობის შემცირების ტენდენცია (300 ყოველ 1000 გათხოვილ ქალზე), დღესდღეობით კი ეს მაჩვენებელი 151-მდე შემცირდა. ამასთან, გაძლიერდა ბავშვთაშობის შიდა ოჯახებური რეგულირება, რასაც ისიც ადასტურებს, რომ 2002 წელს დაბადებული 60.000 ბავშვიდან თითქმის 81% მოდიოდა 30 წლამდე ასაკის ქალებზე.

ამიტომ, დემოგრაფიული პროცესების და, კერძოდ, შობადობის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების გზით.

წლიდან წლამდე მცირდება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, ასევე ხდება მშობიარეთა საშუალო ასაკის გაასალგაზრდავება. ეს კი იმის საწინაარია, რომ 30-35 წლის ასაკის ქალებში დაგროვილი უდიდესი დემოგრაფიული პოტენციალი გამოუყენებელი რჩება. ამასთან, პროგრესულად მატულობს კონტრაცეპტიული საშუალებების გაძლიერება, და, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, აბორტის ოპერაციების, როგორც არასასურველი ორსულობის შეწყვეტის მეთოდის საქმარისად ფართო გავრცელება (ცხრილი 4).

დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმის განსაზღვრა ძალიან ძნელია. იგი იცვლება საზოგადოების ისტორიული განვითარების შესაბამისად. მაინც შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალური ტიპი შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთმანეთს დაემთხვევა ოჯახისა და საზოგადოების დემოგრაფიული იდეალი. ამჯამად თაობათა ერთი და იმავე რაოდენობით განახლებისთვის საშუალოდ ოჯახში 2.2-2.3 ბავშვი უნდა იბადებოდეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი არ აღმატება 2.0-ს; ამასთან ერთად, თუ საშუალოდ ყოველი ქართველი ოჯახი ორ-ორ ბავშვს იყოლიებს, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება, რადგან ორი ბავშვი ოჯახში ვერ უზრუნველყოფს თაობათა ცვლას. დემოგრაფიული თაობის განახლებისთვის ოჯახთა უმრავლესობას ორი-სამი ბავშვი მაინც უნდა ჰყავდეს, ხოლო მოსახლეობის გამრავლების, თაობათა გაფართოებული განახლებისთვის ოჯახთა უმრავლესობაში საჭიროა მესამე და, განსაკუთრებით, მეოთხე ბავშვის ყოლა.



მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტის დონე  
საქართველოში (1995-2010 წწ.)

წლები	აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი	აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი
1995	0.725	0.700
1996	0.732	0.708
1997	0.737	0.715
1998	0.713	0.694
1999	0.682	0.665
2000	0.694	0.675
2001	0.684	0.665
2002	0.673	0.653
2003	0.665	0.645
2004	0.718	0.695
2005	0.654	0.634
2006	0.663	0.648
2007	0.688	0.674
2008	0.732	0.713
2009	0.910	0.887
2010	0.880	0.866

ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყველა ზემოჩამოთ-ვლილი ფაქტორის გათვალისწინებით, სასურველი ორსულობის შენარჩუნება ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური მოტივებით. ამასთან, მკეთრად განსხვავდება ოჯახში ბავშვთა რეალურ რაოდენობასთან შედარებით დაგეგმილი შვილიანობა (ცხრილი 5).

## ცხრილი 5

## გამოკითხულ ქალთა აზრი ბავშვთა ყოლის შესახებ

ოჯახის საშუალო შემოსავალი	ბავშვთა საშუალო რიცხვი ოჯახში	ოჯახში დაგეგმილი შვილიანობა
ძალიან დაბალი	2.1	2.2
დაბალი	1.8	2.2
საშუალო	1.7	2.8
საშუალოზე მაღალი	1.8	2.4
მაღალი	1.5	2.9
სტანდარტული გადახრა	1.08	1.03



ამგვარად, შობადობის პროცესის ოპტიმიზაცია, პირველ მოთხოვს ბავშვთა ყოლის მოტივაციის განწყობის ჩამოყალიბებას და იმ პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის რეალიზაციას. რა თქმა უნდა, ოჯახი ისწრაფვის იყოლოს ბავშვთა სასურველი რიცხვი, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე თვით მოცემული ოჯახის ინდივიდუალური თავისებურებანი გავლენას ახდენს ამ სურვილის შესრულებაზე, რადგან დემოგრაფიული ქცევა განისაზღვრება არა მარტო შეხედულებებით, არამედ ცხოვრების კონკრეტული პირობებითაც.

შობადობის პრობლემა მრავალფაქტორულია. ამიტომ, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები მას სხვადასხვანაირად წარმოსახავენ. ძალზე გავრცელებულია ის აზრი, რომ ბავშვთაშობა განპირობებულია ბუნებრივი, “დედობრივი ინსტინქტის”, “გვარის გაგრძელების მოთხოვნილების” და მსგავსი ფაქტორების მოქმედების შედეგად. ეს აზრი გამოიქმულია დემოგრაფიულ ლიტერატურაშიც. ზოგჯერ “გვარის გაგრძელების ბუნებრივ მოთხოვნილებას” განიხილავენ, როგორც ბიოლოგიურ ფაქტორს, რის გამოც შობადობა, მკლევართა ამ ჯგუფის აზრით, არ შეიძლება მკვეთრად დაეცეს.

ბავშვთაშობის სოციალური მოტივებით განისაზღვრება ოჯახში ბავშვთა სასურველი რიცხვით, ანუ ეს მოტივები ასახავენ მშობელთა მოთხოვნილებას, შეუსაბამონ თავიანთი რეპროდუციული ქცევა რეფერენტულ ჯგუფში მიღებული შვილიანობის სოციალურ ნორმებს. ოჯახში ბავშვთა რიცხვი აქმაყოფილებს არა მარტო მშობელთა “უტილიტარულ” მოთხოვნილებებს, არამედ წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განისაზღვრავს, რომელ რეფერენტულ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი. არსებული აზრი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასახავს ქართულ ოჯახში სხვადასხვა ფასეულობათა გადანაწილების პროცესს, ითვალისწინებს ჯგუფურ სოციალურ ნორმებს, მათ შორის ბავშვთაშობის ნორმებს.

თავისთვალი, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადირეობის გაუმჯობების პრობლემა მნიშვნელოვანია არა მარტო შობადობის სტრუქტურების თვალსაზრისით, არამედ განპირობებულია ახალგაზრდა თაობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებით, ზოგჯერ კი გადარჩენის საჭიროებით.

## დასკვნები

1. საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებას, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ახასიათებს გამოკვეთილი თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, მისი ძირითადი დემოგრაფიული მრაცხები განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, მკვეთრად შემცირებულია შობადობა, იზრდება მოსახლეობის საერთო სიკვდილიანობა.
2. ქართველ მოსახლეობაში გამოკვეთილად მატულობს ერთშეილიანი ოჯახების ხელდრითი წლის, ოჯახის უორმირება მთავრდება 3-5 წლის მანძილზე. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე თითქმის სამჯერ იკლი

ქორწინების კოეფიციენტმა, იზრდება არასრული ოჯახების რიცხვი. ამის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების შემცირებისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილის ზრდის ხარჯზე. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.

3. შობადობის კლების ფონზე რაჭა-ლეჩესუმსა და ქვემო სვანეთში აღინიშნა დეპოპულაციის პროცესი, 1998 წლიდან ამ რეგიონებს დაემატა კახეთი და გურია, 1999 წელს – თბილისისა და იმერეთის რეგიონები, 2000 წელს – მცხეთა-მთიანეთი. 2001 წლიდან პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში დეპოპულაციის პროცესი დაფიქსირდა უკვე ქვეყნის მასშტაბით. ამასთან, რიგი მრავალეროვნული რაიონების ქართველი მოსახლეობის დეპოპულაციის ფონზე მიმდინარეობს არამკიდრი მოსახლეობის გამოხატული მატება.
4. წინა წლებთან შედარებით შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება აბორტის, როგორც არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების საიმედო საშუალების მიმართ. მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ ოჯახის დაგეგმვაზე მზარდ გავლენას ახდენს თანამედროვე კონტრაცეპტიული საშუალებების გამოყენება.

## ОСНОВНЫЕ ТЕНДЕНЦИИ ВОСПРОИЗВОДСТВА НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ

*O. Герзмава, N. Узнадзе*

Университет им. Григола Робакидзе, Тбилиси; Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

### РЕЗЮМЕ

В статье обсуждаются проблемы, связанные со стагнацией демографического развития населения Грузии, имеющей место за последние годы. По материалам анализа статистических данных, касающихся естественного движения населения за последние годы, автор приходит к выводу, что наблюдающиеся неблагоприятные тенденции напрямую связаны с резким изменением социально-экономических условий, ухудшением качества жизни большинства населения страны.

Проявившиеся за последние годы неблагоприятные тенденции демографического развития создают, по мнению авторов, прямую угрозу безопасности страны и требуют принятия неотложных мер.

## MAIN DEMOGRAPHIC TRENDS IN GEORGIA

*O. Gerzmava, N. Uznadze*

Grigol Robakidze University, Tbilisi; P. Shotadze Tbilisi Medical Academy

### SUMMARY

Recent demographic trends in Georgia have caused widespread public concern. The Georgian fertility rate has declined to among the Europe laws. Georgia is experiencing unusually high death rates from cardiovascular diseases, cancer, non-natural causes, many related to mode of life. As a result, for the first time in Georgian history, the annual number of deaths has exceeded the number of births. Compounding these challenges, the population is aging rapidly – a trend that will accelerate over the next two decades – and the immigration continues to increase, posing thorny political and social problems for a nation historically accustomed to a net outflow of people.

## ღვიძლის მარჯვენა ლობელტომის პლინიგური შემთხვევა კავერცეზული ჰემაგეიომაის გამო

გ. გვარაშვილია, მ. კილაძე, ს. დანდურიშვილი, დ. ფერაძე

შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა;  
 პ. შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 03.05.2012

ღვიძლის ყველა კეთილთვისებიან წარმონაქმნის შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო კავერცოზული ჰემანგიომაა. ჰემანგიომის სპონტანური რეპტურა იშვიათი, მაგრამ ძალზე დრამატული გართულებაა, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური შრომის, შშობიარობის ან სხვა მიზეზების შედეგი. ღვიძლის გაფართოებული რეზექცია გახდა ღვიძლის პირველადი, მეტასტაზური სიმსიგნების და რიგი კეთილთვისებიანი წარმონაქმნების პირველადი მკურნალობის მეთოდი.

**საქანძო სიტყვები:** კავერცოზული ჰემანგიომა, მარჯვენა ლობელტომია, ჰემანგიომის რეპტურა

ღვიძლში შეიძლება აღინიშნოს კეთილთვისებიანი წარმონაქმნების სხვადასხვა სახეობები. ზოგი მათგანი ექვემდებარება რეზექციას, მაშინ როცა სხვები - არა. კლინიცისტები ვალდებული ვართ სკრუპულოზურად გავერკვეთ წარმონაქმნის ტიპში, რომელიც აზიანებს ღვიძლს და სრულყოფილად გამოვიყენოთ დიაგნოსტიკის და მკურნალობის ყველა მეთოდი [1, 2].

ღვიძლის ყველა კეთილთვისებიან წარმონაქმნის შორის, რომელიც ქირურგების უურადღებასიცყრობს, დაავადების სიხშირიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო კავერცოზული ჰემანგიომაა. იგი ფიქსირდება ყველა აუტოფსიის დაახლოებით 2%-ში [2]. ჰემანგიომის კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია სიმსივნის ზომაზე, პარენქიმის დაზიანებაზე. ზოგჯერ სიმსივნე აღწევს გიგანტურ ზომებს და ეჭვება მცირე მენჯში, ზოგჯერ კი აწევბა ღვიძლს და დაბლა სწევს მას. ჰემანგიომა ხასიათდება ნელი ზრდით, რის გამოც პაციენტების ზოგადი მდგრმარეობა დიდი ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი რჩება [1, 2]. ჰემანგიომის სპონტანური რეპტურა იშვიათი, მაგრამ ძალზე დრამატული

გართულებაა, რომელიც შეიძლანს სხვა მიზეზების შედეგი [1].


1. ደጋበዳኖስ መግኑዝና ልጠቃይቅዕምዎ;
  2. ደጋበዳኖስ መግኑዝና ልጠቃይቅዕምዎ;
  3. ደጋበዳኖስ መግኑዝና ብርሳዊያምናኅይቅዕምዎ;
  4. ደጋበዳኖስ መግኑዝና ሁልተገኘነውን ስጋም;ኅብረትዕምዎ [1].

იმის გამო, რომ თანამედროვე ქირურგიულ ჰეპატოლოგიაში პოსტოპერაციული ლეგალობა შემცირდა და აშშ-ის მონაცემებით იგი ვარირებს 3.2%-დან 0.8%-მდე (სხვადასხვა კლინიკების მონაცემებით), დაიძლის გაფართოებული რეზექცია გახდა დაიძლის პირველადი, მეტასტაზური სიმსივნეების და რიგი კეთილთვისებიანი წარმონაქმნების პირველადი მკურნალობის მეთოდი [1, 2].


გვინდა წარმოგიდგინოთ შემთხვევა, რომელიც თავისი კლინიკური დიაგნოზით, დაავადების განვითარების დრამატიზმით და არაორდინარული ოპერაციული მკურნალობის ტაქტიკით შესაძლებელია ყურადღებას იმსახურებს.

ავადმყოფი ბ., 37 წლის, 2009 წელს მომართა ჩვენს კლინიკას ჩივილებით: ტკივილები მარჯვენა უერდექეშა მიდამოში, რომელიც გაუძლიერდა ბოლო 1.5 თვის განმავლობაში, სიმძიმის შეგრძნებით, დისპეფსიური მოვლენების გაძლიერებით, საერთო სისუსტით. 1.5 წლით ადრგორდობის დროს ჩაუტარდა გეგმიური ულტრასონოგრაფიული კვლევა, რომლის დროს სრულიად შემთხვევით დვიძლის მარჯვენა წილზე ძალზე დიდი ზომის  $135 \times 105 \times 116$  მმ წარმონაქმნი დაუდგინდა (სურ. 1), რომელიც ვერიფიცირებულ იქნა, როგორც დვიძლის ჰემაგიომა. ვინაიდან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს ჰემანგიომის სპონგიანური რუბტურის რისკი მაღალი იყო, პაციენტს შევთავაზეთ საკეისრო კვეთა. ოპერაცია გართულდა გინეკოლოგიური სეფსისით, რის შემდეგ პაციენტის გადმოცემით, ჩივილები კიდევ უფრო გაუმძაფრდა. ჩვენს კლინიკაში ამბულატორიული მომართვისას პაციენტს ჩაუტარდა განმეორებითი ქქოლოკაციური კვლევა [2], რომლის დროს დაფიქსირდა ჰემაგიომის ზომების მკვეთრი მატება –  $150 \times 126 \times 130$ . ჩატარდა CT კვლევა, სადაც დაფიქსირდა, რომ გიგანტური ჰემაგიომა მოიცავს V-VIII სეგმენტებს (სურ. 3, 4). ვინაიდან ჰემაგიომა ძალზე დიდ ზომებს აღწევდა და ბოლო 2 თვის განმავლობაში გამოიხატა ზრდის ტენდენცია მკვეთრი ალგიური სინდრომის თანდართვით, რაც ქმნიდა სპონგიანური რუბტურის დიდ საშიშროებას, პაციენტს შევთავაზეთ ოპერაციული მკურნალობა.


სათანადო მომზადების შემდეგ, 18.12.2009 წ. ჩატარდა ოპერაცია. ღვიძლის მობილუზაციის დროს დრამატულად მოხდა ჰემანგიომის გასკდომა, რომლის დროს ერთმომეტნად, დროის მცირე მონაკვეთში დაიკარგა ძალზე დიდი რაოდენობითი სისხლი. ჰემანგიომის რეტრიურის ადგილას მიტანილ იქნა სამი დიდი პირსახოცი, კომპრესიული ჰემოსტაზისთვის. ჰემოტრანსფუზიოლოგიური სამსახურის მიერ ერთორმასისა და კრიოპლაზმის ტრანსფუზიის მეშვეობით მოხერხდა მდგომარეობის მეტ-ნაკლები სტაბილუზაცია.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3




სურ. 4

ამ ეტაპზე გადაწყდა ოპერაციის შეჩერება, პირსახოცების დატოვება მუცლის ღრუში, საოპერაციო ჭრილობის გაკერვა სიტუაციური ნაკერებით და აფადმყოფის გადაყვანა საოპერაციოდან ანგიოგრაფიულ კვლევაზე. თუ ცელია კოგრაფიაზე დაფიქსირდებოდა კონტრასტის ღიოძლშიდა არტერიისგარე ექსტრავაზაცია, რაც ნაკლებად სავარაუდო იყო, იქვე მოხდებოდა სისხლძარღვის (არტერიის) პლომბირება, შესაბამისი მომზადების შემდეგ – რელაპაროტომიის და მარჯვენა ლობექტომიის წარმოება. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – 72 სათიანი აქტიური მოცდა – პომეოსტაზის მაქსიმალური კორეგირებით ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში და შემდგომი ოპერაციის წარმოება. ანგიოგრაფიულ კვლევაზე ექსტრავაზაცია არ დაფიქ-

სირებულია (სურ. 5, ლატერალურ დარში წოჩანს პირსახოცები), რაც ჭრდები ერთხელ ადასტურებს სიმსივნის გენოზურ განეზს.



სურ. 5



სურ. 5

21.XII.2009 წ. წარმოებულ იქნა განმეორებითი ოპერაცია, რედაპაროტომია – ღვიძლის მარჯვენა ლობექტომია. ოპერაცია სრულდებოდა „Harmonic Scalpel“-ის მეშვეობით. დიდი კალიბის ტრიადებს დამატებით ვერავდით ვიკრილის კვანძოვანი ნაკერებით. ღვიძლ-თორმეტგოჯას იოგი პერიოდულად გადაჭერილი იყო. ოპერაციის შევლელობისას დაიკარგა დაახლოებით 2 ლ სისხლი, რომლის შეესებაც ხდებოდა ინტრაოპერაციულად პერმანენტული პერმოტრანსფუზიით. ოპერაციის ბოლოს ღვიძლთან მიტანილ იქნა ორი მეტრიანი ტამპონი, ტამპონების ქვევით ვინსლოვის ხვრელთან და ლატერალურ დარში პოლიეინილის ორი დრენაჟი.

პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა პერმოტრანსფუზიული თერაპიის ფონზე, ესხმებოდა კრისტალოიდები, უკეთდებოდა ტკივილგამაჟუნებლები, H2 ბლოკერები, დაბალმოლექულური ანტიკოაგულანტები (ფრაქსიპარინი 0.4), ცილოვანი პრეპარატები, კრიოპლაზმა. ანტიბაქტერიული თერაპია წარმოდგენილი იყო როცეფინით. ლაბორატორიული მაჩვენებლები დღეების მიხედვით გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

	ოპერაციამდე	ოპერაც.	1-ლი დღე	ოპერაც.	1-ლი დღე	მე-3 დღე	მე-8 დღე
CRP	98				336.7	367.2	178.2
AsAT	30				521		35
AlAT	70				576		91
TBil	33				22		16
HT	38%		36%	16%	39%	36%	
GGT					48		
Hb-Er	126/4.1	80/3.2	100/3.4	55/2.6	100/3.5	90/3.3	105/3.7

პათომორფოლოგიური დიაგნოზი: ღვიძლის მულტინოდულური კავერნოზული ჰემაგიომა ნეკროზის უბნებით, ქრონიკული ინფილტრაციულ-პროლიფერაციული ანთებით და ფიბროზის რეგიონით. საკონტროლო CT კვლევისას აღინიშნება სტაბილური მდგომარეობა, მოჩანს რეზექციის ზონა (სურ. 6). პაციენტი პოსპიტალიზაციიდან მე-14-ე დღეს გაეწერა ბინაზე. ჭრილობის შეხერცება პირველადი დაჭიმვით, 1 წლის შემდეგ თავს დამაქმაყოფილებლად გრძნობს, 2 წლის შემდეგ საკონტროლო რადიოლოგიური კვლევისას სიმსივნის რეციდივი არ ფიქსირდება.

## ლიტერატურა

1. On Call Surgery, Gregg A. Adams, Stephen D. Bresnick, 2<sup>nd</sup> ed, 2001.
2. Textbook Of Surgery. David C. Sabiston Jr., H. Kim Lyerly, 1992.

## КЛИНИЧЕСКИЙ СЛУЧАЙ ПРАВОСТОРОННЕЙ ЛОБЭКТОМИИ ПЕЧЕНИ ПО ПОВОДУ КАВЕРНОЗНОЙ ГЕМАНГИОМЫ

*Г. Гвахария, М. Киладзе, С. Дандуришвили, Д. Перадзе*

Университетская клиника им. С. Хечинашвили; Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

## РЕЗЮМЕ

Кавернозная гемангиома является самым важным доброкачественным образованием печени. Спонтанный разрыв гемангиомы редкая, но очень драматическая патология, что может являться следствием физического труда, родов и ряда других причин. Расширенная резекция печени стала первичным методом лечения первичных, метастатических и ряда доброкачественных опухолей.

## THE CLINICAL CASE OF THE LIVER RIGHT LOBECTOMY CAUSED BY CAVERNOUS HEMANGIOMA

*G. Gvakharia, M. Kiladze, S. Dandurishvili, D. Peradze*

S. Khechinashvili University Clinic, P. Shotadze Tbilisi Medical Academy

## SUMMARY

Among all nonmalignant tumors of liver the most important and interesting could be cavernous hemangioma. Spontaneous rupture of hemangioma happens quite rarely. They could be mainly caused by physical activities, maternity or other reasons. Liver wide resection has become the main step of the treatment of liver primary, metastatic and some kinds of nonmalignant tumors.

## საქართველოში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხების ზოგიერთი ასახელი გლობალური პიონირის პონტიფიციური

ქ. გორგაძე

პ. შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 11.06.2012

ნაშრომის მიზანი საქართველოში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ზოგიერთი ასპექტის გლობალური ბიოეთიკის კონტექსტში განხილვაა. გამოყენებული იყო ამ სკოლებში სოციოლოგიური კვლევების შედეგები, გაქტოდა მათი შედარებითი ანალიზი, შესწავლილი იყო ქართულ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული მასალა. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები საქართველოშიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში ადამიანებისთვის მათი მნიშვნელობიდან, სირთულეებიდან, მათ მიმართ ადამიანთა ინტერესებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლები განხილვის საგანს წარმოადგენს; ჩვენს პლურალისტურ სამყაროში სხვადასხვა საკითხების, ასევე ეფთანაზიის მიმართ მომავალი ექიმების და, ზოგადად, ახალგაზრდობის დამოკიდებულება მიგანიშებს სამედიცინო სფეროს და სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა განსაკუთრებულ ასუხებისგან და თანამშრომლობას საზოგადოების ადეკვატური ინფორმირებულობის და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, რაც ადამიანთა უფლებების და მორალური უასეულობების დაცვას, ზოგადად სიცოცხლის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას, ახლანდელი და მომავალი თაობების მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს უნდა უზრუნველყოფეს.

**საკანონო სიტყვები:** ბიოეთიკა, ეფთანაზია, ორგანოთა გადახრება, ადამიანის ქლონირება, თავის ტვინის სიკვდილი, სიკვდილ-სიცოცხლე, წინასწარი დორექტივები

ტერმინით “ბიოეთიკა” ამერიკელმა ონკოლოგმა პოტერმა გასული საუკუნის 60-70 წწ. ჰუმანიტარულ და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე ადამიანებს ბიოლოგიური ცოდნის და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ერთობლივი გააზრებით ახალი ხედვების ჩამოყალიბების აუცილებლობისკენ მოუწოდა, რომლის პრიორიტეტი იქნებოდა როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი თაობების სიცოცხლის უმნიშვნელოვანებს საკითხებზე ზრუნვა. ბიოეთიკის წარმოშობა გარკვეულმა მიზეზებმა და გარემობებმა განაპირობა – მრავალმხრივი ბუმი ბიოლოგიასა და მედიცინაში ახალი აღმოჩენებისა და კვლევებისა, რომელმაც ადამიანის, როგორც ექსპერიმენტირების და მანიპულირების ობიექტად



ქცევის საფრთხე წარმოაჩინა და ამ მიღწევათა ფონზე პროფესიონალური ეთიკური და ჰუმანიზმის ფაქტორთა სრულყოფის აუცილებლობა გააჩინა. საზოგადოებრივი მორალის ჰუმანიზაციის პირობებში გაჩნდა ადამიანის უფლებების მეტი პატივისცემისთვის ყურადღების მიქცევის აუცილებლობა. თანამდეროვე ბიომედიცინის უუნდამენტურ პრობლემად ადამიანის უფლებების დაცვა იქცა. გარემოსთან ადამიანთა ურთიერთქმედების შედეგად მისი დაბინძურების, ეკოლოგიური კატასტროფების და ჩვენი პლანეტის მოსალოდნელი საფრთხეების პირობებში აუცილებელი გახდა არა მარტო ადამიანის, არამედ ზოგადად სიცოცხლის მიმართ გამომუშავებულიყო ეთიკურ-ზნეობრივი დამოკიდებულება. პოტერის იდეა შექმნილიყო ბიოეთიკა მდგომარეობდა იმის აღიარებაში, რომ ყველაფერი, რაც ტექნიკურად არის შესაძლებელი, ყოველთვის არ არის მორალურად გამართლებული. განსაკუთრებულია ამ იდეას რეალიზაცია დღევანდელი მეცნიერული იმპერატივის, უკვე არსებული და მოსალოდნელი მეცნიერული მიღწევების სიცოცხლესთან ურთიერთქმედებასთან წარმოქმნილი პრობლემების პირობებში. ბიოეთიკამ დასაწყისშივე განსაზღვრა მისი გლობალური ბუნება – ეს იყო გლობალური აზროვნების მცდელობა ეთიკაში. გლობალური ბიოეთიკა მოიცავს პრობლემების განხილვას, რომელიც დაკავშირებულია თითოეულ ადამიანთან, მომავალ ადამიანებთან, ყველა ცოცხალორგანიზმსა და გარემოსთან [8]. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზე დებატები ბიოეთიკურ კონტექსტში, განსაკუთრებით კი ევთანაზიის მიმართ [13], მსოფლიოს სხვადასხვა ქავენებში მწვავე, აქტუალური და დინამიკურია [4, 5, 11]. ამ ფონზე მნიშვნელოვნად მიგააჩნია ზოგიერთი მათგანის განხილვა.

ნაშრომის მიზანია საქართველოში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ზოგიერთი ასპექტის განხილვა გლობალური ბიოეთიკის კონტექსტში.

## მასალა და მათობება

ნაშრომის მიზნის შესასრულებლად გამოყენებულ იქნა ზოგიერთი სოციალური გამოკითხვის შედეგები (2008-1012 წწ.) სპეციალური კითხვარით ოჯახებადად (მოდულის წინ და მისი გავლის შემდეგ). გამოკითხული იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე რეზოდენტურის საფეხურზე მყოფი სხვადასხვა სპეციალობის ექიმები მოღულის “ექიმის და პაციენტის ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების” ფორმატში. კითხვარი მოიცავდა ბიოეთიკის ძირითადი პრობლემების ინფორმაციის, ცოდნის და დამოკიდებულების საკითხებს; აგრეთვა, გამოყენებული იყო სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები ბიოეთიკის ზოგიერთ საკითხზე; გაკეთდა მათი შედარებითი ანალიზი. ჩატარდა ლიტერატურის მიმოხილვა და ქართული ინტერნეტ სივრცის მიმოხილვა ევთანაზიის საკითხთან დაკავშირებით.

## შედეგები და მათი განხილვა

მომავალი ექიმების ანონიმური გამოკითხვის შედეგებიდან აშენაა მათი ინფორმირებულობის სიმწირე ბიოეთიკის ზოგიერთი პრობლემის –

გარემოს, ბიოსფეროს და ბიომრავალფეროვნების დაცვის, მდგრადი გზა  
 კითხების საკითხებზე. აღნიშნული მიგვთითებს როგორც სამედიცინო,  
 ასევე სხვა სფეროს მომავალი პროცესიონალების სწავლებაში ამ  
 პრობლემების აქცენტირებაზე, მთი უმეტეს, რომ გაერთიანებული ერების  
 ორგანიზაციის მიერ 2005-2014 წლები გამოცხადებულია მდგრადი გან-  
 კითარების სწავლების დეკადად.

ექიმების პირველადი გამოკითხვისას ადსანიშნავია მათი უმრავლესობის  
 შედარებით პოზიტიური დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ, ვიდრე  
 ქვემოთ მოყვანილი მონაცემებია [3]. ჟუმანური პოზიციებიდან, აღნიშნულ  
 დამოკიდებულებას ექიმები პაციენტის ტანჯვის მიუღებლობით ხსნიან.  
 ამასთან, ის რესპონდენტები, რომლებიც მეორე გამოკითხვისას ინა-  
 ჩუნებენ პოზიტიურ დამოკიდებულებას ევთანაზიის მიმართ, პოზიციას პა-  
 ციენტის ავტონომიის უფლების დაცვით ამყარებენ; პაციენტის ავტონომიის  
 დაცვაზე ფიქრი დადგბითი ფაქტია, თუმცა პაციენტის გადაწყვეტილება  
 შეწყდეს მისი სიცოცხლე, შესაძლოა, გამოწვეული იყოს სხვადასხვა  
 მიზეზებით, მათ შორის, ფიქრით ტერიტორიულ არ დააწვეს ახლობლებს, ან  
 მის მიმართ ნაკლები ან არადეკავარური მოვლით [5]. ევთანაზიის  
 განხილვა სხვა არგუმენტების და საკითხების გვერდის ავლით არასრულ-  
 ფასოვანია. მოდულის გავლის შემდეგ ეს მონაცემები იცვლება, მათ  
 შორის დამოკიდებულება აქტიური ევთანაზიის მიმართ – მსმენელთა 70%  
 აფიქსირებს ნებატიურ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

ადსანიშნავია, რომ თითქმის ყველა გამოკითხული ამჟღავნებს მკვეთ-  
 რად ნეგატიურ დამოკიდებულებას ადამიანის კლონირებისადმი, რაც აბსო-  
 ლუტურად შეესაბამება ცივილური სამეცნიერო მიღვომას ამ საკითხისადმი,  
 მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის პოზიციას.

გამოკითხულთა გარევეული ნაწილი ვერ ასახელებს თავის ტვინის  
 სიკვდილს, როგორც გარდაცვალების კრიტერიუმს. მიუხედავად იმისა, რომ  
 2000 წლიდან საქართველოს კანონმდებლობამ დაადგინა გარდაცვალების  
 ეს კრიტერიუმი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის  
 განკარგულება თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების ინსტრუქციის  
 დამტკიცებას შეეხება.

ჩვენ მიერ ინტერნეტ ფორუმებში ევთანაზიაზე მოძიებული ზოგიერთი  
 მონაცემი, მაგალითად, „ევთანაზიას ვემსრობი მხოლოდ და მხოლოდ  
 ტვინის სიკვდილის დროს”, არასწორია, რადგან თავის ტვინის სიკვდილის  
 შემთხვევაში ადამიანი გარდაცვლილად ითვლება და ამ დროს ევთა-  
 ნაზიაზე საუბარი შეუსაბამოა.

ზემოაღნიშნულს, ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილის ზუსტ დადგენას  
 და მის კავშირს გამურ ორგანოთა გადანერგვასთან მიუვევართ მო-  
 საზრებამდე, რომ გვამური დონაციის პროგრამის ასამუშავებლად რო-  
 გორც სამედიცინო სფეროს, ასევე საზოგადოების მოსამზადებლად და  
 მისი ნდობის მოსაპოვებლად კვლავ საჭიროა უდიდესი და მრავალმხრივი  
 ძალისხმეული; საქართველოს ტრანსპლანტაციის ასოციაციის მონაცემებით,  
 დღეისთვის ათასამდე ადამიანს სჭირდება ორგანოს დონორი; ორგანოთა  
 გადანერგვის გზით მათი გადარჩენა უმნიშვნელოვანესი მომენტია. თი-

თოვეული უნიკალური სიცოცხლის შენარჩუნება უნდა განვიხიზოთ, როგორც სიცოცხლისადმი პატივისცემის, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების, ადამიანთა მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების უფლების და, ამავე დროს, ტრანსლაციური პროცესის გამოყენების დაცვის კონტექსტშიც. ევთანაზიის საკითხის შესწავლის მიმართ სტუდენტების უფრო მეტი ინტერესის გამო ინტერნეტით მოძიებული იყო ევთანაზიის საკითხთან დაკავშირებული მასალა – სხვადასხვა პუბლიკაციები, ფორუმები, სხვადასხვა სფეროებში გამოსაყენებლად გამოცემული რამდენიმე განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე. გამოყენებული იყო საძიებო სიტყვები – ევთანაზია, მომატვდავი პაციენტი, უკურნებელი სენიორი დაგადატებული ადამიანი, წამების აქრძალვა, სიცოცხლის უფლება, მომაკვდავი ადამიანის ტანჯვა. შესწავლის იქნა და გაკეთდა მოძიებული მასალის ანალიზი.

საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საკითხის სიმწვავეს განაპირობებს ევთანაზიის ფორმების, ტერმინთა სხვადასხვაობა და მასთან დაკავშირებული პოზიციები. ბიოეთიკის ფორკუსში მოქცეული ევთანაზიის ფორმებიდან, როგორიცაა აქტიური ნებაყოფლობითი, აქტიური არანებაყოფლობითი, პასიური ნებაყოფლობითი, პასიური არანებაყოფლობითი დავას და დებატებს უფრო მეტად აქტიური ევთანაზიის მორალურობასა და დაკანონებაზე გამართული ლებატები იწვევს. რაც შეეხება იძულებით ევთანაზიას, ის ამ დებატებში მონაწილე ყველა მხარისოფას მორალურად გაუმართდებელია [13]. განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა ევთანაზიის საკითხთან დაკავშირებით [4, 5]. საქართველოს ჯანმრთელობის კანონმდებლობით, ევთანაზია – უკურნებელი სენიორი დაგადატებული სიკვდილის წინა სტადიაში მყოფი პაციენტის სიცოცხლის განხრას შეწყვეტა მისივე მოთხოვნით – თავისი შინაარსით აქტიური ნებაყოფლობით ევთანაზია [11], რაც კანონით აკრძალული და სისხლის სამართლის დანაშაულია. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ კანონმდებლობის ტრანსფორმაცია ევთანაზიასთან დაკავშირებით მოხალოდნელი არ არის, განსაკუთრებით კი ზაშინ, თუ ამ საკითხის მიმართ ინდიფერენტულობას გამოვიწენ [1]. თუ კიმსჯელებთ ზოგიერთი სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით [3], საქართველოში ევთანაზიის ლეგალიზების მიმართ ნებატიური დამოკიდებულება; აქტიურ ევთანაზიას გამოკითხულთა მხოლოდ 7.5% უჭერს მხარს; რესპონდენტთა 90% სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. ერთი შეხედვით, დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ შეესაბამება კანონმდებლობას ევთანაზიის მიმართ საქართველოში, თუმცა ევთანაზიის მომხრეთა რიცხვი უფრო მეტია სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის, რაც საქმაოდ დასაფიქრებელია. მით უმეტეს, რომ უფრო მძიმედ წარმოგვიდგენს ამ საკითხის პერსპექტივას ჩვენი კალევების შედეგები, ინტერნეტში განთავსებული სხვადასხვა ფორუმები – სადაც ევთანაზიას გარკვეული ნაწილი მხოლოდ ჰუმანურ აქტად თვლის, მის ლეგალიზებაშიც ვერ ხედავს პრობლემას; ამასთან, მოსალოდნელია, რომ ფორუმში მონაწილეები ძირითადად ახალგაზრდობაა.

საყურადღებო აქტიური ევთანაზიის მომხრეთა პოზიცია, რომელიც

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე აპელირებს; ამ პოზიციით, სახელმწიფოს მიერ აქტიური ევთანაზიის აკრძალვა მიუთითებს “ადამიანის იძულებაზე აიტანოს ფიზიკური და სულიერი ტანჯვა” [2].

ამავე კონვენციაში, სიცოცხლის უფლების დაცვა სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობადაა მიჩნეული, სწორედ ამ არგუმენტით ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, როდესაც ევთანაზიის დავის საკითხს სიცოცხლის დაცვის სასარგებლოდ იხილავს. მეორე პოზიცია, რომელიც ფიქსირდება საკვლევ მასალაში, კატეგორიულად წინააღმდეგია ევთანაზიის და მას კაცის კვლას უწოდებს [1, 7]. მასალის განხილვის სხვა შედეგები ასეთია – გვხვდება ტერმინი ევთანაზიის არასწორი და შეცდომითი გამოყენების მაგალითები და უზუსტობებიც; ევთანაზია ეხება მომაკვდავ ადამიანთა და არა ზოგადად პაციენტების პრობლემებს, თუმცა ის შესაძლოა არა მარტო მომაკვდავი ადამიანების, არამედ ადამიანთა გარევაზე ჯგუფებისთვისაც სერიოზულ საფრთხედ გადაიცეს [6], “ანუ თუ დაუშვებთ საერთოდ ევთანაზიას, ვერ შეგწერდებით მხოლოდ ამ კატეგორიაზე დღის წესრიგში დადგება . . . . სხვათა თავიდან მოშორების საკითხიც” [5]. “თუ საზოგადოება ჰუმანურობის გრძნობებიდან გამომდინარე დაადგება სამედიცინო მკვლელობების გზას, იგი ადგილად გადავა ასეთი მოწყალების მიზანშეწონილობის განხილვაზე საზოგადოებაში, სამწუხაროდ . . . . ადვილად გაჩნდება . . . . მრავალი ადამიანის მოკვდინების აუცილებლობა” [1]. ევთანაზიის რეგულირების მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტით, მისი მარეგულირებელი პროცედურების დაწესების შემთხვევაში დაუცეველი პაციენტები შეიძლება იმაზე უკეთ იყვნენ დაცულები, ვიდრე არიან [4]. თუ ეს რეგულაცია ევთანაზიის დაკანონებას გულისხმობს, მოქლებულია ეთიკურობას, საზოგადოებას სჭირდება კანონები, რომლებიც მორალურ ფასეულობებზეა შემუშავებული, მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და ადამიანები შესაბამისი აღზრდით, რომლებიც ამ კანონებს დაიცვენ. აქვე აღნიშნავთ, რომ ბიოეთიკის დეკლარირებული პრინციპებიდან ერთ-ერთი მოწყვლადობის პატივისცემაა. ზოგიერთ მასალაში გვხვდება განსაზღვრება, რომ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ევთანაზიის პასიურ და აქტიურ ფორმებს, რაც არასწორია; კანონი ეხება აქტიურ ევთანაზიას, პასიური ევთანაზია კი პაციენტების უფლების კონტექსტში განიხილება – უფლება, თქვან უარი ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე [11]. აღნიშნული სირთულეების ფონზე უმნიშვნელოვანესია ევთანაზიის ტერმინთა შესაბამისი გამოყენება, ტერმინის გამოყენების დროს მისი ფორმების დაზუსტება, რითაც მსჯელობის, პოზიციების დაფიქსირების დროს თავიდან იქნება აცილებული შეცდომები. საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც პასიურ ევთანაზიას ამა თუ იმ ფორმით ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად, “ შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი უარს აცხადებს მეურნალობაზე, ან არა აქვს მატერიალური საშუალება ჩაიტაროს სათანადო მეურნალობა, ან როდესაც ექიმი უიმედო ავადმყოფს სტაციონარიდან გამოწერს” [5, 6]. ეს უგანასკნელი შეიძლება განვიხილოთ პასიურ არანებაყოფლობით ევთანაზიად,

თუ ექიმის გადაწყვეტილება არ შეესაბამება პაციენტის სურვილზე გააჭროდელოს მკურნალობა [13]. რაც შეეხება ეფთანაზიის ისტორიას, ეფთანაზია გასული საუკუნის მიწურულს ჰოლანდიაში „არ გაჩენილა“, მას გაცილებით შორეული ფესვები აქვს. განსატურებულია ნაცისტების „დამსახურება“ ეფთანაზიის მიმართულებით, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

უნდა აღინიშნოს სხვა ქვეყნებში ეფთანაზიის დაკანონების, მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ტენდენცია [4]; მაგალითისთვის მოყიფანთ ეფთანაზიის დებატების ვებგვერდზე განთავსებულ პოზიციებს – [www.euthanasiadebate.com/euthanasia-debates](http://www.euthanasiadebate.com/euthanasia-debates). ზოგჯერ ვეხებით ეფთანაზიის სხვადასხვა ფორმით შენიდბევისაც, მაგალითად, „ტერმინალური სედაცია“ [7]; ამ ტერმინს ამერიკის ექიმთა ასოციაცია გვერდს უვლის და იყენებს ტერმინს „პალიატიურ სედაციას“. ზოგიერთი ავტორი ამ პოზიციას სხვათა „თვალების ახვევად“ აფასებს [9]. ფრანგი მეცნიერის, მედიცინის დოქტორის ჯაკ-სუდოს აზრით, ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება ეფთანაზიის მომხრეთა მიერ ხელოვნურადაა პროვოკირებული. ეფთანაზიის სრულყოფილი განხილვა შეუძლებელია რელიგიური, ეთნოკური, ადამიანის უფლებების და სამართლის, სამედიცინო და სოციალური ასკექტების სიღრმისეული შესწავლის გარეშე. თუმცა, მრავალი ავტორი იზიარებს ამ აზრს, ამ საკითხის განხილვა ხშირად არასრულფასოვნია. ამდენად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სპეციალისტების თანამშრომლობა ეფთანაზიის საკითხთან მიმართებაში, რაც დიდ გავლენას მოახდენს საზოგადოებაში მის მიმართ მართებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. პოზიციას, რომ ექიმებს ეფთანაზიის პრობლემისგან პასუხისმგებლობის თავიდან არიდება უნდათ [2], გვინდა დავუპირისპიროთ სამედიცინო სფეროში აღიარებული ეთიკური პრინციპები; პიპორერატებს ფიცი – არ მივცე არც ერთ მთხოვნელს მომაკვდინებელი საშუალება და არცა გზა ვასწავლო ასეთი ზრახვების შესრულებისა. ადიშმული როგორც აქტიური ეფთანაზიის, ასევე ექიმის დახმარებით თვითმკვლელობის წინააღმდეგია. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ექიმის ფიცი – კვლავაც უსაზღვრო პატივი ვცე ადამიანის სიცოცხლეს მისი ჩასახვისთანავე; სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი – ექიმს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოვალეა დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი – უკურნებელი სენიორ დაავადებული, თუ სასიკვდილოდ განწირული ავადყოფისთვის სამედიცინო დახმარებას და სულიერ თანადგომას ექიმი აგრძელებს პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე. ბუნებრივია, ეფთანაზიის ლეგალიზება გამოიწვევს ამ ეთიკური პრინციპების შედახვას, ამ პრინციპებით ხომ დღემდე ექიმითა თაობები ჰუმანიზმის და პროფესიული მოვალეობის დაცვის იდეებით იზრდებოდნენ. შეინარჩუნებს კი სამედიცინო სფერო მის ფუნქციამნებურ დანიშნულებას, ხომ არ მოხდება ღირებულებათა გადაფასება სამედიცინო სფეროში და მთლიანად საზოგადოებაში [7], რა ღირებულებებს შეენარჩუნებთ მომავალ თაობებს, მათ შორის სამედიცინო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს. ეს კითხვები გადის გლობალური ბიოეთიკის პრიზმაში და განხილული საკითხის

აქტუალობას და ადეკვატურად ინფორმირებული მორალური განხშირებულების წარმოაჩენს [13].

აღნიშნული და სხვა საკითხების მიმართ სრულყოფილი, პუმანიზმის და პროფესიონალური დამოეკიდებულების ჩამოყალიბებისთვის უძიდესი დატვირთვა ენიჭება სამედიცინო სფეროს მომავალი სპეციალისტების სრულყოფილ განათლებას მორალურ საკითხებში – ბიოეთიკური პრინციპების სწავლებას შესაბამისი მეთოდოლოგიის გზით [6, 12].

ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს ე.წ. წინასწარ დირექტივებს, რომელსაც ადამიანები წინასწარ მოიაზრებენ ჯანმრთელობის საკითხებთან, მათ შორის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებთან დაკავშირებით. წინასწარი დირექტივები იმ შემთხვევაში, როცა ადამიანებს არ ექნებათ გადაწყვეტილების მიღების უნარი, უნდა უზრუნველყოფდეს მათი ნების რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ჯანმრთელობის სისტემა, რომელშიც წინასწარი დირექტივები 1990 წლიდან გამოიყენება და ახლა უკვე 50 შტატში ლეგალურად არის აღიარებული, ჯერ კიდევ მუშაობს ამ დირექტივების მნიშვნელობის, არსის და მისი დეტალების დაზუსტებაზე აღნიშნული ხასს უსვამს ამ საკითხის სირთულეს [10, 12]. საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეს შეუძლია წინასწარ, წერილობით გამოხატოს ნება მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ იმ შემთხვევაში, როცა ის ვერ შეძლებს საკუთარი ნების გამოხატვას, მაგალითად, აღმოჩნდება კომურ მდგომარეობაში. საქართველოში ჯერ არ არსებობს პაციენტის წინასწარ გაცხადებული ნების რეგისტრი, ამიტომ მისი ნების გარკვევა პაციენტის ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ხდება [2].

ამავე დროს, საქართველოში დღესდღობით “ავადმყოფზე მზრუნველობა სიცოცხლის დასასრულებელ” (end-of life care) პალიატიური მზრუნველობის დამოუკიდებელ მიმართულებად იქცა. ამ მიმართულების მთავარი კომპონენტია განსაკუთრებული ფილოსოფიის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს ავადმყოფისა და მისი ოჯახის წევრების სამედიცინო, სოციალურ, სულიერ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. იმის გათვალისწინებით, რომ ავადმყოფთა უმრავლესობას, გამოკითხულთა 80%-ზე მეტს, სურს სახლში გაატაროს სიცოცხლის უპანასენელი დღეები და სახლშივე დაასრულოს სიცოცხლე, პალიატიური მზრუნველობა უმთავრესად ბინაზე ხორციელება (პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული პროგრამა. 2011-2015 წლების სამოქმედო გეგმა). საქართველოში მოქმედებს ჰოსპიტიკური; ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოების კიდევ უფრო მეტი ინფორმირებულობა.

დასასრულს, პოზიციას, რომელიც აქტიური ეფორაზის, ექიმის მიერ პაციენტის თვითმკვლელობაში დახმარების და აღნიშნული ფორმებით პაციენტის მოკვდინების წინააღმდეგია, გვინდა დაგუჭავშიროთ ევროპის საბჭოს პარლამენტის ასამბლეის 2012 წლის 25 იანვრის რეზოლუცია, რომელიც წინასწარი დირექტივების, სიცოცხლის შესახებ ანდერძის მხედველობაში მიღების პარალელურად, ამ მხრივ გარკვეულ შეზღუდვებსაც აწესებს და ამასთან კრძალავს ეფთანაზიას. ამ ფაქტზე გამოხმაურება ევროპის გარკვეულ წრეებში ასეთია – ”ეს დიდი გამარჯვებაა სიცოცხლისა და დირსებისთვის“.

## ლიტერატურა

1. არქიმანდრიტი ადამი. ადამიანი ბიოეთიკურ დროსა და სივრცეში. სულიერი და სოციალურ-კულტურული განვითარების ფონდი “თამარის დროშა”, თბილისი, შპს სეზანი, 2010, 1, 32-138.
2. გორგეგლაძე თ. ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები, 2011, თბილისი, 55-56.
3. დედამიწისა თ. ევთანაზიის პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში და საერთაშორისო ასპექტები, 2011, 21 ნოემბერი.
4. იაკინაძე ნ., ცომაია თ., ჭელიძე ლ., ჯიბულიშვილი გ., მესტეკოვა შეკლი ნ. ჯანდაცვა და ადამიანის უცლებები. თბილისი, ფონდი “დიასაზოგადოება – საქართველო”, 2011, 14-32 გვ.
5. მამულაშვილი ბ. ბიოეთიკა. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2011, 376 გვ.
6. Биоэтика – вопросы и ответы. ЮНЕСКО, 2008, 34-36.
7. Силянова И.Б. Биоэтика в России – ценности и законы. Москва, 2001, 142-151.
8. Bioethics Core Curriculum, UNESCO, 2008, 15-16.
9. Choosing Death – The Husting Center Special Report. 2008, 38, N3, 11-14.
10. Improving end of life care – A Husting Center Special Report, 2009, 26-30pp
11. Javashvili G., Kiknadze G. Georgia – end of life care. Euthanasia: National and European perspectives, Council of Europe, 2004, 195, 41-44.
12. Ravitsky V., Kaplan A., Fiester A. The Penn guide to bioethics. Springer publishing Company, New York, 2009, 828, 181-189, 749 -753.
13. Vaughn L. Bioethics, principles, issues and cases. 2010, Oxford University Press, 526-576.

## НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ВОПРОСОВ ЖИЗНИ И СМЕРТИ В КОНТЕКСТЕ ГЛОБАЛЬНОЙ БИОЭТИКИ

*E. Гиоргадзе*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

### РЕЗЮМЕ

Целью настоящей работы было рассмотрение некоторых аспектов вопросов жизни и смерти в контексте глобальной биоэтики. Были использованы итоги некоторых социальных исследований, данные материалы были найдены в интернете. В Грузии, как и в других странах, вопросы жизни и смерти, в связи с его важностью, интереса и сложности являются предметом рассмотрения общества. В нашем плюралистическом мире, отношения врачей и молодежи к разным вопросам, а также к эвтаназии указывают на ответственность и сотрудничество с другими специалистами, созданию адекватной информированности, обеспечивая защиту прав человека и нравственных ценностей, уважение настоящих и будущих поколений к жизни, в целом.

## SOME ASPECTS OF LIFE AND DEATH ISSUES IN THE GLOBAL BIOETHICS CONTEXT

*E. Giorgadze*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy

### SUMMARY

The aim of the given work is the discussion of some aspects of life and death issues in the global bioethics context. The results of some social surveys were used, comparable analysis of these data was made and internet materials were studied concerning these issues. As in other countries, the issues of life and death, due to its importance, interest and complexity is subject of discussion for Georgian society. The attitude of future doctors and youth towards euthanasia and other issues in our pluralistic world, indicates medical, as well as other professionals's responsibility and collaboration for adequate information and formation of society's attitude, assuring of certain duties toward present and future generation for the protection of human rights and moral values and establishment of respect for the life in general.

## ციტომეგალოვირუსის ინფექცია: სენსორურალური სენსორურულობის მინიმალური რისკ-ფაქტორი ბაზშებზი

**თ. დევდარაძინი, მ. თუშეშვილი, ნ. ჩიბალაშვილი, ჭ. ქვეანიშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი, თბილისი

მიღებულია 31.07.2012

ციტომეგალოვირუსის (ცმვ) მატარებლობა შეისწავლებოდა თანდაყოლილი ან აღრევული ასაკიდანვე სმენადაქვეითებულ ბავშვებში. კვლევის ბირითადი კონტინგენტი 3-6 წლის ასაკის მდიმე და უმძიმესი ხარისხის სენსორურალური ტიპის სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა შეადგინა. საკონტროლო ჯგუფი შემთხვევითობის პრინციპით ნორმალური სმენის იმავე ასაკის ბავშვებისგან შეირჩა. ბავშვების ორიგი ჯგუფში ELISA-ს იმუნოსორბენტული მეთოდით სისხლში განისაზღვრებოდა ცმვსპეციფიკური IgG ანტისეულის ტიტრი. მომატებული IgG აღინიშნა ძირითადი ჯგუფის 15 ბავშვიდან 14-ში და საკონტროლო ჯგუფის 30 ბავშვიდან 14-ში ანუ, შესაბამისად, 93.3%-ში და 46.7%-ში. ჯგუფთაშორისი განსხვავება მაღალი ალბათობით სტატისტიკურად სარწმუნო იყო ( $p = 0.007$ ). ამგვარად, გაირკვა, რომ IgG ანტისეულის წარმოდგენილობით დადასტურებული ცმვ-ის მატარებლობა ორჯერ უფრო ხშირი იყო სენსორურალური ტიპის სმენადაქვეითებულ, ვიდრე ნორმალური სმენის ბავშვებში. ეფთხება დასკვნა, რომ სმენის დაქვეითების დროული გამოვლენა და ცმვ-ის მატარებლობის დროულივე დადგენა სათანადო საპრევენციო-სამკურნალო-სარეაბილიტაციო დონისძიებების დროული დაწყებისთვის და, ამდენად, მათი წარმატებული შედეგებისათვის არის მნიშვნელოვანი.

**საკანძო სიტყვები:** ციტომეგალოვირუსული ინფექცია, ციტომეგალოვირუსის მატარებლობა, სმენადალურგობის რისკ-ფაქტორი, სმენადაქვეითებული ბავშვები, ციტომეგალოვირუსის სპეციფიკური ანტისეულები

თანდაყოლილი ინფექციური დავადებების მიზეზთაგან გამორჩეული პოზიცია ციტომეგალოვირუსის (ცმვ) უჭირავს [10, 11]. სწორედ ცმვ-ია ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენის და სხვადასხვა უნარშეზღუდულობის, მათ შორის, სმენის დაქვეითების ერთ-ერთი ხშირი და მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი.

ცმვ-ით ახალშობილების 0.2%-2.4% არის დაინტიცირებული [5, 6, 8, 9]. მათგან 85%-ში დავადება ასიმპტომურად მიმდინარეობს, თუმცა ინგაზირე-

ბულთა 10-17%-ს მოგვიანებით სენსონევრლელური, მეტწილად პროგრესირება ბათოლოგიებს სმენის დაქვეითება უვითარდება [1, 5, 8, 14]. სერიოზულ პათოლოგიებს ცმპ-ით პრენატალურად დაინფიცირებულ ახალშობილთა 10-15%-ში აქვთ ადგილი. მათ შორის გამოსაყოფია ხრდა-განვითარებაში ჩამორჩნა, დაბადებისას მცირე მასა, მიკროცეფალია. სიყვითლე, პეპატროსპლენომეგალია, ანემია, თრომბოციტოპენია. ინფიცირებულთა უმეტესობას ზრდასრულობაში ნევროლოგიური დარღვევებიც აღენიშვება [2, 7].

ცმპ ადამიანის ჰერპესვირუსთა რეაქტურიანი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია ადამიანის ჰერპესვირუსი 5 (human herpes virus 5 – HHV 5). სისხლში შეჭრის შემდეგ ცმპ მონოციტებსა და ლიმფოციტებში რეპლიცირდება [5, 11]. ინფექცია ორგანიზმის უჯრედულ იმუნიტეტს შერჩევითად და განსაკუთრებით აქვთოვას. ცმპ ფლობს უნარს ლიმფოციტებს „შეაფაროს თავი“. შედეგად, სპეციფიკური ანტისეულებისთვის, აგრეთვე ინტერფერონისთვის ცმპ მიუწვდომელი და, შესაბამისად, მათი მაბლოკირებელ-გამაუქნებელი მოქმედებისგან დაცული ხდება. ამ მიზეზით ცმპ-ის ჩუმი მატარებლობა ხშირად დროის ხანგრძლივ ჰერიოდს, ზოგჯერ მოედნიც სიცოცხლეს მოიცავს.

ახალშობილებში ცმპ-ული ინფექციის გამოვლინება და მიმდინარეობა მნიშვნელოვანი ილად დამოკიდებულია დედის იმუნურ სტატუსზე [4, 5]. თუ დედა პირველი ორსულობის ჰერიოდში ავადდება, იმუნიტეტის არასრულყოფილი მექანიზმების გამო ნაყოფზე ცმპ-ის გადაცემის რისკი 40% ანუ საემაოდ მაღალია [6, 7, 14]. ასეთ პირობებში ინვაზირებულთა 65%-ში პათოლოგია ახალშობილობის ჰერიოდშივე იქნება თავს. უკვე დაინფიცირებული ქალის დაუქმდიმებისას, მეტანკლებად უკვე ჩამოყალიბებული იმუნიტეტის წყალობით, ნაყოფში ცმპ-ის შეჭრის ალბათობა შეკვეცილია და მხოლოდ 0.5-1.5%-ს შეადგენს.

მანიფესტირებული ცმპ-ული ინფექცია მუცლადყოფნის ჰერიოდში ინვაზირებულ ნაყოფთა დაახლოებით 10%-ს აღენიშვება [10]. ზრდაში შეფერხებები, ჰემატოსპლენომეგალია, ჰემატოლოგიური დარღვევები, კერძოდ, თრომბოციტოპენია, დერმალური დარღვევები, კერძოდ, ჰეტექინები და პურპურა, ცმპ-ული ინფექციის ტიპური სიმპტომებია. უკვლა შემთხვევაში ცენტრალური და/ან ჰერიფერიული ნერვული დისფუნქციები დომინირებება: მიკროცეფალია, ვენტრიკულომეგალია, ტვინის ატროფია, ქორიორეტინიტი, სმენის დაქვეითება. ინტრაცერებრალური კალციფიკატები, რომლებიც პათოლოგიურ პროცესში თავის ტვინის ჰერიფერიულარული მიდამოს ჩართვაზე მიუთითებენ, შემდგომში სმენა-მეტყველების შეფერხებების და, შესაბამისად, პროგრესირებადი ნევროლოგიურ-ერგინიტური მოშლილობების წანამძღვრებად განიხილებიან. გონებრივი ჩამორჩნის მიზეზთაგან თანდაყოლილი ცმპ-ული ინფექცია დაუნის დაავადებას თუ ჩამოუვარდება სიხშირითა თუ სიმძიმით [2, 7].

ასიმპტომური ცმპ-ული ინფექცია განსაკუთრებით ხშირად იმ ახალშობილებში გვხვდება, რომელთა დედებს უკვე აქვთ გამომუშავებული იმუნიტეტი ცმპ-ის მიმართ [4]. დაბადების მომენტში ასეთი ბავშვები ჯანმრთელებად გამოიყრებიან, თუმცა მოგვიანებით მათ შეიძლება ზრდაში შე-

ფერხებები აღენიშნოთ. მოგვიანებითვე მათში ნეკროლოგიური პათოლოგიების რისკიც მატულობს. ბავშვთა სწორედ ამ ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი წლების შემდგომ სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითება პროცესის პროგრესირებისკენ მიღრევით. სმენის ცალმხრივი ან ორმხრივი დაქვეითება ცმპ-ით დაინიცირებულ ბავშვთა დაახლოებით 15%-ს აღენიშნება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ახალშობილობის პერიოდში სმენის სერინინგულმა გამოკვლევამ აუდიოლოგიური დარღვევები შეიძლება ვერ გამოავლინოს – სმენაჩლუნგობა დაბადებიდან თვეების, ზოგჯერ კი წლების შემდგომ იჩენს ხოლმე სშირად თავს.

ცმპ-ული ეტიოლოგიის სმენის დაქვეითების შექანიშები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარევეული [1]. პათოლოგიის მანიფესტირებული ფორმებისას, როცა ახალშობილს თანდაყოლილი ინფექციის ნიშნები, კერძოდ, მიკროცეფალია, კრუნქსევითი სინდრომი, ქორიორეტინიტი, მოტორული ჰიპოტონია აქვს გამოხატული, შემდგომში ნერვულ-მოტორულ-კოგნიტურ სფეროში ჩამორჩენებიც არის მოსალოდნელი. მათთან ხშირად სენსონევრალური სმენაჩლუნგობაც ასოცირდება. ასიმპტომური ცმპ-ის მატარებლობისას სმენის დაქვეითების პათოგენეზის ჭრილში საყურადღებოა მონაცემები [3], რომელთა მიხედვით სმენის დაქვეითების ხარისხი ამ დროს შარდში ცმპ-ის კონცენტრაციასთან არის პროპორციულ კავშირში. საკითხის ირგვლივ გამოქვეყნებულ შრომათა უმეტესობაში (მაგ. [12, 13]) მითითებულია, რომ დღემდე უცნობია უაქტორები, რომელთა გათვალისწინებით ცმპ-ული ინფექციისას სმენის დაქვეითების პროგნოზირება არის შესაძლებელი. ამდენად, როგორც სიმპტომური, ისე ასიმპტომური ცმპ-ული დაავადებისას რეკომენდებულია სმენის მონიტორინგი, თუნდაც სიცოცხლის საწყისი წლების განმავლობაში ხორციელდებოდეს რეგულარულად.

სწორი მეტყველების ჩამოყალიბებაში და, ზოგადად, ბავშვის ნორმალური განვითარების პროცესში სმენა დომინანტურ როლს თამაშობს. სმენის დაქვეითების მომენტში ბავშვის ასაკი კრიტიკულია, მნიშვნელოვანია აგრეთვე რეაბილიტაციის დაწყების დრო. სმენადაქვეითებული ბავშვის მეტყველების ფუნქციის ევოლუციის მიმართებით თავის ტყინის ქრექის სმენით-მეტყველებით სტიმულაცია 6 თვის ასაკამდე ბევრად უფრო უკეთესი შედეგით მთავრდება, ვიდრე იმ ბავშვებში, რომლებშიც სმენაჩლუნგობა 7-18 თვის ასაკამდე არ დაფიქსირებულა და, ამ მიზეზით, სათანადო სარეაბილიტაციო პროცედურებით ქრექის აუდიოსტრიმულაცია არ მომხდარა [11, 12].

შესაბამისად, ახალშობილთა აუდიოსერინინგს და სმენაჩლუნგობის დაფიქსირების შემთხვევაში სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაუხანებელ და სისტემატურ გატარებას ნორმალური მეტყველების მისაღწევად პრინციპული მნიშვნელობა აქვთ.

წინამდებარე ნაშრომში ცმპ-ის მატარებლობა განისაზღვრებოდა პრენატალურ ან ადრეულ პოსტნატალურ პერიოდში ინიცირებული სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებში. სმენადაქვეითებულების ცმპ-ის მატარებლობის მაჩვენებელი ნორმალური სმენის თანატოლების იდენტურ მაჩვენებელთან შეჯვრების კუთხით ანალიზდებოდა.

## გასაღა და გეთოდები

კვლევის ძირითადი (ტესტური) კონტინგენტი 3-6 წლის ასაკის 15-მა ბავშვმა შეადგინა – 8 გოგონა, 7 ბიჭი, რომლებიც დაფეხბური სმენა მეტყველების მიზნით მშობლების მიერ აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში საკონსულტაციოდ იყვნენ მოყვანილები. დასაწყისში, შეა ყურის ფუნქციური სტატუსის გარევეების მიზნით, ბავშვებს სტანდარტული ტიმპანომეტრიული გამოკვლევა უტარდებოდათ. ყველა შემთხვევაში იმპედანსო-მეტრიული მონაცემებით, შეა ყურის ნორმალური ფუნქცია დასტურდებოდა. შემდგომში, გამოწვეული ოტოაკუსტიკური ემისიის რეგისტრაციაზე დაფუძნებული პროცედურით სმენა სკრინინგულად გამოიკვლეოდა. ყველა ტესტი სკრინინგის აპარატის ეკრანზე ფაილის ინდიკაციით მთავრდებოდა, რაც სმენის პათოლოგიის არსებობაზე მიუთითებდა. კვლევის მომდევნო ეტაპზე სმენის დისფუნქცია ტვინის დეროს სმენის პასუხის, ტლსპ-ის, კომპიუტერული რეგისტრაციის მეოთხის მოხმობით ობიექტურად დეტალიზდებოდა. ობიექტური აუდიომეტრიის პროცესში ბავშვი აუსტიუ-რად ატენუირებულ და ელექტრულად იზოლირებულ კაბინაში თავსდებოდა. ტლსპ-ის წლურბლები ტონალური გზავნილებით მონაურალური სტი-მულაციის პირობებში 0,5, 1 და 2 ჰეც სიხშირებზე ანუ ძირითადი სა-მეტყველო სპექტრის ზოლში განისაზღვრებოდა. სტიმულაციის რიტმი 11 წმ-ს შეადგენდა. ცალკეულ შემთხვევებში გასაშუალოებულ მრუდებში ტლსპ-ის იდენტიფიკაცია გართულებული იყო. სირთულეების აღსაკვთად და ტლსპ-ის კონფიგურაციის და შემადგენლობის ინდიკირებულური თავისე-ბურებების წარმოჩენის მიზნით ტონალური გზავნილებით აკლევის დაწყებამდე ან უშეალოდ აკლევის პროცესში ტლსპ-ები ბგერითი ტკაცუნით მონაურალური ან ბინაურალური სტიმულაციის პირობებში ჩაიწერებოდა (სურ. 1): ტკაცუნზე, ტონალურ სტიმულებთან შედარებით, ტლსპ, ჩვეუ-ლებრივ, უკეთესად იდენტიფიცირდება, გაურკვევლობას იშვიათად იწვევს და, შესაბამისად, ტონალურ გზავნილებზე ჩანაწერების ინტერპრეტაციას აადვილებს. ტლსპ-ის გამოყვანის მიზნით აქტიური, რეფერენტული და და-მამიწებელი ელექტროდები შესაბამისად ევრტექსზე და სტიმულირებული და არასტიმულირებული ყურის ბიბილოზე ფიქსირდებოდა. სკალირიან გა-მოყვანილი ბიოგლექტრული აქტიურობა 50-2000 ჰც-ის სიხშირულ ზოლში ძლიერდებოდა. სპეციალიზებული კომპიუტერული სისტემის (Eclipse) სა-შუალებით აქტიურობის პოსტსტიმულური პერიოდების გასაშუალოება (სუმაცია) წარმოებდა. სემპლირების (ქვანტირების) ბიჯი 25 მეტ-ს შეად-გნდა, ეპოქა (ანალიზის დრო) – 15 მწმ-ს, გასაშუალოების (სუმაციის) რიცხვი – 2000-ს. საეჭვო კონფიგურაციის ჩანაწერის შემთხვევაში იდენ-ტური სტიმულაციის პირობებში რეგისტრირებული რამდენიმე ინდიკირ-ა-ლური გასაშუალოებული მრუდი კომპიუტერში კროს-სუმირდებოდა. შედე-გად, გასაშუალოების რიცხვი ცალკეულ შემთხვევებში 4000-ს, 6000-ს, 8000-ს აღწევდა. გამოკვლეულთა უმრავლესობაში, კერძოდ, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, კომპიუტერული აუდიომეტრია კუნთებში დიაზეპამის ინ-გციით ინიცირებული ძილის პირობებში ხორციელდებოდა.

საკონტროლო ჯგუფი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულმა იმავე ასაკის ანუ 3-6 წლების 30-მა ჯანმრთელმა ბავშვმა შეადგინა – 15 გოგონა, 15 ბიჭი. საგულდაგულო გამოყითხვებითაც და უშუალო დაკვირვებითაც ამ ჯგუფის არც ერთ წევრს სმენა-მეტყველების მხრივ რაიმე დეფექტი არ აღნიშნებოდა. ყველა ბავშვში სმენის სკრინინგული გამოკვლევა აპარატის ეკრანზე პას-ის ინდიკაციით ანუ დადებითი შედეგით მთავრდებოდა. შესაბამისად, საკონტროლო ჯგუფის ინდივიდებში ნორმალური სმენა ობიექტურადაც დასტურდებოდა.

ცმა-ის მატარებლობის გარკვევის მიზნით როგორც ძირითადი, ისე საკონტროლო ჯგუფის ყველა ბავშვში ELISA-ს (Enzyme-Linked Immuno-sorbent Assay) მეთოდით ცმა-სპეციფიკური IgG-ის ანტისხეულის შემცველობა განისაზღვრებოდა სისხლში.

## უკანასკნელი და გათი განხილვა


ობიექტური (კომპიუტერული) აუდიომეტრით ძირითადი ჯგუფის 15-ვე ბავშვში სმენის მნიშვნელოვანი დაქვეითება გამოვლინდა (სურ. 1, 2). გამოკვლეულთა აბსოლუტურ უმრავლესობაში აღქმის ზღურბლები ტესტურ სიხშირებზე 60-90 დბ-ის ფარგლებში თავსდებოდა. ამდენად, ჯგუფის ყველა ინდივიდში III და IV ანუ მძიმე და უმძიმესი ხარისხის სმენის დაჭვეოთება დაფიქსირდა. გამოკვლეულთა უმრავლესობაში სმენის ზღურბლები რეგულარულად მატულობდა დაბალი სიხშირიდან – 0.5 კჰც, საშუალო – 1 კჰც და მაღალი – 2 კჰც სიხშირებისკენ, რის გამოც აუდიომეტრიულ მრუდებს სენსორების სმენანალური სმენანალური ბლოკისთვის ნიშანდობლივი დამრეცი კონფიგურაცია ჰქონდათ. მარჯვენა და მარცხენა ყურის აუდიოგრამებში დაქანების კუთხე, როგორც წესი, თანაბარი იყო და ყოველ მომდევნო სიხშირეზე დაახლოებით 5 დბ-ს შეადგენდა (სურ. 2). გამოკვლეულთა უმეტესობაში სმენის ზღურბლთა მაჩვენებლები მარჯვენა და მარცხენა ყურში ასევე თანხვდებოდა ერთმანეთს. ცალკეულ ინდივიდებში გამოვლენილი ინტერაურალური განსხვავება, ჩვეულებრივ, 5, 10, 15 დბ-ს უტოლდებოდა. სუმარული მონაცემებით, სამივე ტესტურ სიხშირეზე ინტერაურალური განსხვავებები 1-3 დბ-ის რანგისა იყო (სურ. 2). ამასთან, სამივეზე განსხვავება მაღალი ალბათობით სტატისტიკურად არასარწმუნო იყო. თანხვედრილობის გათვალისწინებით, ცალკეულ სიხშირებზე სმენის დაქვეითების საშუალო მაჩვენებლები ჯამურად ორივე ყურის მიმართაც იქნა გამოოვლილი.

ტრანს-ის სარეგისტრაციოდ გამოყენებულ 0.5, 1 და 2 კჰც სიხშირეებზე ორივე ყურის გამოკვლევის შედეგებით სმენის ზღურბლთა საშუალო მაჩვენებლებმა და სათანადო სტანდარტულმა გადახრებმა მოლიანად ტესტურ ჯგუფში შეადგინა  $71.2 \pm 16.1$ ,  $75.6 \pm 10.4$  და  $80.6 \pm 10.5$  დბ, შესაბამისად. ორივე ყურის ჯამური, ისე როგორც ცალკეულად მარჯვენა და მარცხენა ყურის მონაცემებით (სურ. 2), სტანდარტულ გადახრებს უფრო დიდი მნიშვნელობები დაბალ – 0.5 კჰც, ვიდრე საშუალო – 1 კჰც და მაღალ – 2 კჰც სიხშირეებზე ჰქონდათ.


8.6., ♂, 2 წლის

მარცხენა ყური: ტკაცუნი


დბ ნსზ



სურ. 1. ცმპ-ის მატარებელ ბავშვები ბგერითი ტკაცუნის სხვადასხვა ინტენსივობისას (80, 60 და 50 დბ ნსზ – ნორმალური სმენის ზღურბლი) რეგისტრირებული ტლსპ-ები. მაღალ ინტენსივობებზე ტლსპ-ში სამივე ძირითადი კომპონენტი – ტალღები I, III და V – დიფერენცირდება (მითითებულია ვერტიკალური, ზღურბლოვანზე – მხოლოდ ტალღა V. ტკაცუნის ინტენსივობის შემცირებისას ტლსპ-ის ამპლიტუდები ქვეითდება და პიკები ლატენტური პერიოდები ხანგრძლივდება



0.5 1 2



0.5 1 2 გვ

სურ. 2. ცმპ-ის მატარებელ ბავშვებში ტლსპ-ის რეგისტრაციის მეთოდით განსაზღვრული სმენის ზღურბლების საშუალო მასვენებლები (რგოლები უწყვეტ ხაზებზე) სტანდარტული გადახრებითურთ (ვერტიკალური ხაზები) 0.5, 1 და 2 გვ სიხშირეებზე მარჯვენა და მარცხენა ყურში. ზღურბლთა განაწილების საერთო სურათის წარმოსაჩენად სტანდარტული გადახრები ტეხილი ხაზებით არიან ურთიერთდაკავშირებულები

საშუალო და მაღალ სიხშირეებზე, თავის მხრივ, სტანდარტულ გადახრათა მაჩვენებლები თანაბარი იყო. სტანდარტული გადახრის (SD) და საშუალოს ( $\bar{x}$ ) მაჩვენებლებით სმენადაქვეითებულთა ჯგუფში სმენის ზღურბლთა ვარიაბლობის კოეფიციენტი (V) გამოითვლებოდა პროცენტში:  $V\% = 100SD : \bar{x}$ .

ორივე კურის ჯამური მონაცემებით, 0.5, 1 და 2 კპც სიხშირეებზე ვარიაბლობის კოეფიციენტმა, შესაბამისად, 22.7%, 13.8% და 13.1% შეადგინა. ამგვარად, გაირკვა, რომ ცმპ-ით დაავადებულ სმენადაქვეითებულ ბავშვებში სმენის ზღურბლების მაჩვენებლების ვარიაბლობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია 0.5 კპც, ვიდრე 1 და 2 კპც სიხშირეებზე, 1 და 2 კპც სიხშირეებზე კი პრაქტიკულად ერთნაირია.

სმენა-მეტყველების გამოხატული დარღვევების გარდა, ტესტური ჯგუფის ბავშვების უმეტესობას გარკვეული დისფუნქციები მხედველობის მიმართაც აღენიშნებოდა. სპეციალისტის მიერ ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა გამოკელევამ ყველა ბავშვში აუდიო-ვიზუალური სისტემური მოშლილობების პარალელურად შეფერხებები მნიშვნელურ-კოგნიტურ პროცესებშიც გამოავლინა.

ცმპ-ის მატარებლობის დამადასტურებელი IgG-ის ანტისხეულის მომატებული ტიტრი ძირითადი ჯგუფის 15 სმენადაქვეითებული ბავშვიდან 14-ში, ანუ 93.3%-ში, და საკონტროლო ჯგუფის 30 ნორმალურსმენიანი ინდიკიდიდან 14-ში, ანუ 46.7%-ში აღინიშნა. ამგვარად, გაირკვა, რომ IgG-ის ანტისხეულის წარმოდგენილობა და, შესაბამისად, ცმპ-ის მატარებლობა ორჯერ უფრო ხშირია სენსორნევრალური ტიპის სმენადაქვეითებულ ბავშვებში ნორმალური სმენის თანატოლებთან შედარებით. ჯგუფ-თაშორისი სტატისტიკური განსხვავების დონე (p = 0.007, Fisher-ის ტესტი) მნიშვნელოვნად აღმატებოდა სარწმუნობის ზღურბლოვნა მაჩვენებელს (p ≤ 0.05).

შესაბამისად, ცმპ-ის მატარებლობის სიხშირე სმენადაქვეითებულთა ჯგუფში მაღალი სტატისტიკური ალბათობით აჭარბებდა შესაბამის მონაცემს ნორმალურსმენიანთა ჯგუფში.

ამგვარად, ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკელევის შედეგებით, ცმპ-ული ინფექცია სენსორნევრალური სმენაჩლუნგობის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ბავშვებში. აუდიოსკრინინგის და/ან კომპიუტერული აუდიომეტრის ობიექტური მეთოდებით სმენის ფუნქციის განსაზღვრა ახალშობილობის ასაკშივე უნდა ხდებოდეს. სმენის დაქვეითების გამოვლინებისას სმენაჩლუნგობის მიზნების გარკვევის მიზნით სპეციფიკური პროცედურების მოხმობით, კერძოდ, სისხლში IgG-ის ანტისხეულის ტიტრის განსაზღვრით, ცმპ-ის მატარებლობის დროულივე დადგენა არის რეკომენდებული. ეტიოლოგიური ფაქტორის წარმოქნა სპეციფიკური დონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, პათოლოგიის ნებატიურ დინამიკას ამუხრუჭებს და, მეტიც, სათანადო სამკურნალო-სარეაბილიტაციო დონისძიებების და პროცედურების პოზიტიური შედეგის შანსებს ზრდის.

## ლიტერატურა

1. Barbi M., Binda S., Caroppo S., Ambrosetti U., Corbetta C., Sergi P. Pediatr. Infect. Dis. J., 2003, 22, 1, 39-42.
2. Barbi M., Binda S., Caroppo S., Primache V. J. Clin. Virol., 2006, 35, 2, 206-209.
3. Boppana S.B., Fowler K.B., Pass D.F., Rivera L.B., Bradford R.D., Lakeman F.D., Britt A.J. J. Pediatr., 2005, 146, 817-823.
4. Boppana S.B., Rivera L.B., Fowler K.B., Mach M., Britt W.J. New Engl. J. Med., 2001, 344, 18, 1366-1371.
5. Bradford R.D., Cloud G., Lakeman A.D., Boppana S., Kimberlin D.W., Jacobs R., Demmler G., Sanchez P., Britt W., Soong S.J., Whitley R.J. J. Infect. Dis., 2005, 191, 2, 227-233.
6. Coll O., Benoit G., Ville Y., Weisman L.E., Botet F., Anceschi M.M., Greenough A., Gibbs R.S., Carbonell-Estrany X. J. Perinat. Med., 2009, 37, 5, 433-445.
7. Dollard S.D., Grosse S.C., Ross D.S. Rev. Med. Virol., 2007, 17, 5, 355-363.
8. Grosse S.D., Ross D.S., Dollard S.C. J. Clin. Virol., 2008, 41, 2, 57-62.
9. Kenneson A., Cannon M.J. Rev. Med. Virol., 2007, 17, 4, 253-276.
10. Milewska-Bobula B., Lipka B. Pitzgel. Epidemiol., 2009, 63, 1, 79-83.
11. Mocarski E.S., Courcelle C.T. In (eds. Knipe D.M., Howley P.M., Griffin D.E., Lamb R.A., Martin M.A., Roizman B., Straus S.E.); Fields Virology. 4th ed. Vol. 2. Philadelphia, PA, Lippincott Williams & Wilkins, 2001, 2629-2673.
12. Nance W.E., Lim B.G., Dodson K.M. J. Clin. Virol., 2006, 35, 2, 221-225.
13. Pass R.F. Cytomegalovirus. In (eds. Knipe D.M., Howley P.M., Griffin D.E., Lamb R.A., Martin M.A., Roizman B., Straus S.E.); Fields Virology. 4th ed. Vol. 2. Philadelphia, PA, Lippincott Williams & Wilkins, 2001, 2675-2705.
14. Sokol J., Hyde M. Pediatr. Rev., 2002, 23, 5, 155-162.

## ЦИТОМЕГАЛОВИРУСНАЯ ИНФЕКЦИЯ: ЗНАЧИТЕЛЬНЫЙ ФАКТОР РИСКА НА СЕНСОНевРАЛЬНУЮ ТУГОУХОСТЬ У ДЕТЕЙ

**Т. Девдариани, М. Тушишвили, Н. Чибалашвили, З. Кеванишвили**

Тбилисский государственный медицинский университет; Национальный центр аудиологии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Носительство цитомегаловируса (ЦМВ) исследовалось у 15 детей в возрасте 3-6 лет, страдающих пренатальной или ранней постнатальной формами сенсоневральной тугоухости тяжелой или тяжелейшей степени. В контрольной группе вошли 30 здоровых детей соответствующей возрастной полосы с нормальным слухом, отобранных по принципу случайного подбора. В обеих группах детей ЦМВ-специфические IgG антитела определялись в крови иммуноферментным методом ELISA. Высокие показатели IgG антител выявлены у 14 из 15 детей с сенсоневральной тугоухостью и у 14 из 30 детей с нормальным слухом, соответственно, в 93.3% и 46.7% случаях. Межгрупповое различие было достоверным при высоком уровне статистической значимости ( $p = 0.007$ ). Таким образом, результаты исследований показали, что ЦМВ носительство, доказанное высоким титром IgG антител, в два раза чаще имеет место при сенсоневральной тугоухости, чем при

нормальном слухе. Раннее выявление сенсоневральной тугоухости и раннее же определение ЦМВ носительства представляется важным для своевременного начала и, соответственно, лучшего шанса на положительный исход превентивных и лечебно-реабилитационных специфических процедур.

## CYTOMEGALOVIRUS INFECTION: THE SIGNIFICANT RISK-FACTOR FOR SENSORINEURAL HEARING LOSS IN CHILDREN

*T. Devdariani, M. Tushishvili, N. Chibalashvili, Z. Kevanishvili*

Tbilisi State Medical University; National Centre for Audiology, Tbilisi

### SUMMARY

The rate of bearing of cytomegalovirus (CMV) has been estimated in children suffering from inborn or newborn types of a sensorineural hearing loss of hard-to-severe degrees. The test group comprised 15 hearing-loss children at the age of 3-6 years. The control group included accidentally selected 30 healthy children of the same age band without any hearing complains. In both groups CMV-specific IgG antibodies were determined in blood via the enzyme-linked immunosorbent assay (ELISA). The excessive amount of IgG antibodies was documented in 14 out of 15 children with a hearing loss that being estimated via the specialized screening procedure while later had been detailed by computer registration of auditory brainstem responses (ABRs), and in 14 out of 30 children with normal hearing, that being also proved objectively, via the screening procedure. The intergroup difference in CMV bearing rates, 93.3% and 46.7%, respectively, has been proved to be statistically highly significant ( $p = 0.007$ ). CMV bearing happens thus twice as much in sensorineural hearing-loss than in normally-hearing children. Early detection of a hearing loss and early assessment of a CMV bearing are considered to be essential for an immediate start and, therefore, for a better chance of positive outcomes of specific preventive and treatment-rehabilitative means.

## STEC-შიგა-ტონისი მაპოლიუმირებელი E.COLI- ინფექციის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ქ. გაშაკიძე,<sup>1</sup> თ. მეგრელიშვილი,<sup>1</sup> ქ. პაჭურია,<sup>1</sup> ლ. თევზაძე,<sup>2</sup>  
 ქ. ჯანგავაძე<sup>1</sup>

<sup>1</sup> თსსუ ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი;

<sup>2</sup> დააგადებათა კონტროლის და საზოგადოებრვის ჯანდაცვის ეროვნული  
 ცენტრი (NCDC)

მიღებულია 17.05.2012

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრატიკულ ცენტრში დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 2011 წელს პემორაგიული კოლიტის დაგნოზით ჰოსპიტალური 100 პაციენტი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში STEC-ინფექციის ხევდრითი წილის დადგენა და HUS-ით გართულებულ შემთხვევათა კლინიკური თავისებურებების გამოვლენა. STEC-ინფექცია დაუდასტურდა 50 პაციენტს (50%). STEC-ინფექციის დადგენა ხდებოდა ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდებით (PCR და ImmunoCard STAT მეთოდები) (NCDC). მიღებული დაბორატორიული შედეგები მოუთითებს საქართველოში შიგა-ტონქის მაპოლიუმირებელი E.coli-ს ცირკულაციაზე. გამოვლინდა როგორც 0157, ისე non-0157 შტამები (026, 0111, 0103 და ა.შ.). ახალი თანამედროვე დაბორატორიული მეთოდებით (PCR და ImmunoCardSTAT) შიგა-ტონქის მოლექულური მარკერების ფეკალიებში დეტექციის შემდეგ, STEC-ინფექციის დადასტურების სიხშირე სარწმუნოდ გაიზარდა ბაქტეროლოგიურ კვლევასთან შედარებით (41% vs 19%, შესაბამისად). სხვა ეტიოლოგიის პემორაგიულ კოლიტებთან შედარებით STEC-ინფექცია მძიმე მიმდინარეობით ხასიათდებოდა. შესწავლილი იყო გამოყოფილი EHEC 11 შტამის ანტიბიოტიკოგრამა. გამოყოფილი შტამები უმრავლეს შემთხვევებში მაღალ რეზისტენტობას და ნაკლებ მგრძნობელობას აღმოჩნდნენ შემდეგი ანტიბიოტიკების მიმართ: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetoprim-sulfametoxyzazole, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. აღმოჩნდა, რომ მოცმული შტამები მგრძნობელობას ინარჩუნებდნენ შემდეგი პრეპარატების მიმართ: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. HUS-ით გართულება STEC-ინფექციის დროს უფრო ხშირად განვითარდა იმ პაციენტებში, რომელთაც ანტიბიოტიკოგრამა კლინიკური შემთხვევაში მდგრადი დაგწყო. გართულებები განუვითარდა პაციენტთა 32%-ს, მათგან HUS პრემორბიდული ფონით უხშირესად გამოვლინდა ქალებში (26%). პემოდია-

ლიზი საჭირო გახდა 5-თან. კომპლექსური ეტიოპათოგენეზური თერაპიით გველა პაციენტი განიკურნა, ლეტალური შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

**საკვანძო სიტყვები:** ენტეროპერიაგიული *E. coli*, STEC-ინფექცია, HUS, ანტიბიოტიკორეზისტენტობა

ინფექციური დიარეები რჩება შინაგანი მედიცინის აქტუალურ პრობლემად, რაც განიორბებულია როგორც დაავადებათა გავრცელების არეალის გაფართოებით, ასევე მძიმე და გართულებული შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, XXI საუკუნის დასაწყისისთვის განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად 2 მილიარდზე მეტი შემთხვევა გვხვდება, რომელთაგან 3.5 მლნ [6] ლეტალური გამოსავლით მთავრდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ბოლო ათწლეულში აღნიშვნება ინფექციური დიარეებით ავადობის მაჩვენებლის ზრდა როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში 139.4-დან 614.3-მდე (100000 მოსახლეზე) (NCDC).

ინფექციური დიარეების ეტიოლოგიური სტრუქტურა მრავალფეროვანია, მათ შორის მნიშვნელოვანია ენტერობაქტერიის მრავალრიცხვოვანი წარმომადგენელი. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში ინფექციური დიარეების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი შიგელებსა (*s. flexneri*, *s. sonnei*) და სალმონელებს (*s. typhimurium*, *s. enteritidis*) ეკავათ, ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად მოიმატა პათოგენური *E.coli*-ს როლმა [1]. ინტესტინული პათოგენური *E. coli*-ს სხვადასხვა შტამებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შიგა-ტოქსინ მაპროდუცირებელი *E. coli* – (STEC). STEC-ინფექცია ხასიათდება ჰემორაგიული კოლიტის კლინიკური მიმღინარეობით და ზოგ პაციენტებში ვითარდება სიცოცხლისთვის საშიში ექსტრაინტესტინული გართულებები – ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი (Hemolytic-Uremic Syndrome-HUS)[5]. მნიშვნელოვანია, რომ 2011 წ. გერმანიაში STEC-ინფექციის ეპიდაფეტების დროს რეგისტრირებული 3842 შემთხვევიდან HUS-სინდრომი განუვითარდა ინფიცირებულთა 5%-ს, რაც 4%-ში ლეტალობით დამთავრდა [4]. საქართველოში ჰემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიური სტრუქტურა ხშირად გაუშიფრავი რჩება, რაც, ერთი მხრივ, რეგიონში მოცირკულირე გამომწვევთა მრავალფეროვნებით და, მეორე მხრივ, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის არასრულყოფილებით უნდა იყოს განიორბებული.

ლოტერატურის მონაცემებით, ენტეროპერიაგიული ეშერისიოზების მკურნალობაში ანტიბიოტიკების გამოყენების საკითხი საკამათოა და დიად რჩება.

ბოლო წლებში აღინიშნება ენტეროპათოგენური *E.coli*-ის სხვადასხვა შტამების რეზისტენტობის ზრდა. ამავე დროს, 2011 წელს გერმანიაში ეპიდაფეტების მაგალითზე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე აღინიშნა დაავადების კლინიკური მიმღინარეობის გაუარესების და HUS-ით გართულულ შემთხვევათა სიხშირის მატება [3].

## შასალა და გათოდება

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პემორაგიული კოლიტების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში STEC-ინფექციის ხვედრითი წილის დაგენერაციაში HUS-ით გართულებულ შემთხვევათა კლინიკური თავისებურებების გამოყლენა. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა პემორაგიული კოლიტით დაგენერირებული 100 პაციენტი; მათ შორის 50 პაციენტი დადასტურდა STEC-ინფექცია, მათგან 13-ში დაავადება გართულდა HUS-ით. პაციენტებს მკურნალობა უტარდებოდათ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში. STEC-ინფექციის დიაგნოზის დაგენერაცია ხდებოდა ბაქტერიოლოგიური მეთოდით: კულტურის მიღება; შიგა-ტოქსინის მარკერების (stx1, stx2, eae, ehy) აღმოჩენა ხდებოდა უგაალიერის გამოკვლევით PCR და ImmunoCard STAT-მეთოდით [2]; გამოყოფილი EHEC შტამების მგრძნობელობის შესწავლის მიზნით ანტიბიოტიკოგრამის განსაზღვრა. გამოკვლევები ტარდებოდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში.

## შეღებები და მათი განხილვა

100 პემორაგიული კოლიტით დაავადებულ პაციენტთან ეტიოლოგია გაიშიფრა 38%-ში. გამოვლინდა შემდეგი ენტერიკათოგენური მიკრობანიზმები: STEC – (026, 0103, 0111, 045, 0157) – 50%, Shigella – 21% (flexneri, sonnei), salmonella – 5% (enteritidis), klebsiella – 15%, citrobacter – 3% და პათოგენური ეშერინიების იშვიათი სეროვარები – E. hermani – 3%, E. fergusonii – 3%. 62%-ში ვერ მოხერხდა დიაგნოზის ბაქტერიოლოგიური დადასტურება. 100 პაციენტის მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდით ვეგალიერის გამოკვლევამ დაადასტურა შიგა-ტოქსინის არსებობა 41 შემთხვევაში (41%).

STEC-ინფექციის დიაგნოზი კომპლექსურად (ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური კვლევა) დაუდგინდა 50 პაციენტს (50%). მათგან 10 შემთხვევაში დიაგნოზი დადასტურდა სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური მონაცემების თანხვედრით (STEC კულტურა + შიგა-ტოქსინი), 9 შემთხვევაში E. coli-ინფექციის დიაგნოზი ეყრდნობოდა მხოლოდ ბაქტერიოლოგიური კვლევით STEC კულტურის მიღებას. 31 შემთხვევაში კი შიგა-ტოქსინ მაპროდუცირებელი ბაქტერია გამოვლინდა სეროლოგიური კვლევით (62%). STEC-ინფექციის სპორადული შემთხვევები მოელი წლის მანძილზე რეგისტრირდებოდა, მაგრამ შემთხვევათა მატების პირი იყლის-აგვისტოს თვეებზე მოღიოდა (65%). STEC-ინფექცია უფრო ხშირად რეგისტრირდებოდა სოფლის მაცხოვრებლებში, ვიდრე ქალაქის (შესაბამისად, 54% vs 46%), ძირითადად 30-40 წლის პირებში. ქალები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ მამაკაცებს (74% vs 26%). პემორაგიული კოლიტის შედარებით მძიმე კლინიკური მიმდინარეობის ფორმები გამოვლინდა STEC-ინფექციის ჯგუფში (50%). STEC-ინფექციის მიმდინარეობა

განსხვავდებოდა სხვა ეტიოლოგიის პერიოდული კოლიტის კლინიკურნა; ეს უკანასკნელი ხასიათდებოდა მწვავე დასაწყისით, მაღალი ცხელებით ( $38\text{--}39^{\circ}\text{C}$ ), დისპეციური სიმპტომებით, ზემოქმედი ადომინური ტკივილით, ტენესტებით, დეფეკაციის გახშირებით 10-15-ჯერ დღე-დამეში სისხლის და ლორწოს შემცველი მასებით (50%). STEC-ინფექციისთვის დამახასიათებელი იყო: დაბალი სუბფებრილიტეტის ფონზე უმნიშვნელო დისპეციური მოვლენები, დაავადების მე-2-3 დღიდან ადომინური სინდრომის მწვავედ დაწყება, მუცლის შეტევითი, დიფუზური ტკივილი, ტენესტები, დეფეკაციის სიხშირე 30-40-ჯერ დღე-დამეში, უხესისხლიანი ფეკალური მასებით ფაქტიურად განავლოგანი მასების გარეშე. STEC ინფექციით პაციენტებში გართულებები განუვითარდა 32%-ს; მათგან HUS გამოუვლინდა 13-ს (26%).

HUS-ის ჯგუფში (13 პაციენტი) ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს (77% vs 23%). HUS უფრო ხშირად 30-40 წლის ქალებში განვითარდა; ამასთან, იმ პაციენტებში, რომლებიც შედარებით გვიან, დაავადების მე-4-5 დღეზე იყვნენ ჰოსპიტალიზებულნი. აღსანიშნავია, რომ მათ დამძიმებული ჰქონდათ პრემორბიდული ფონი რენალური დაფიციტური ანემით, საშარდე სისტემის ქრონიკული დაავადებებით, ანამნეზში ორსულთა ნეფროპათიით, პოლიართობით.

ტიპური იყო სუბფებრილური ცხელება ( $37\text{--}37.5^{\circ}\text{C}$ ) და სისხლიანი დიარეის დაწყება დაავადების მე-3 დღეს (67%). შეშუპების სინდრომი და დიზურიული მოვლენები HUS-ით პაციენტთა 2/3-ში დაავადების მე-3-4 დღეზე ვლინდებოდა. პაციენტებს ჰოსპიტალიზაციის პირველსავე დღეს აღენიშნებოდათ ლაბორატორიული მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილებები: ლეიკოციტოზი (12-14000), ნეიტროფილოზით და ფორმულის მარცხნივ გადახრით. მე-2-3 დღიდან ვლინდებოდა მზარდი ჰემოლიზური ანემია ჰემოგლობინის დაქვეითებით და ერითროპენიით, ასევე ორომბოციტოპენია; შარდოვანას, კრეატინინის და ლაქტატდაზრდებაზას მაჩვენებლის მომატება თირკმლის უკმარისობის განვითარების ფონზე.

შესწავლილი იყო გამოყოფილი EHEC 11 შტამის ანტიბიოტიკოგრამა. გამოყოფილი შტამები უმრავლეს შემთხვევებში მაღალ რეზისტენტობას (R) და ნაკლებ მგრძნობელობას (I) ავლენდნენ შემდეგი ანტიბიოტიკების მიმართ: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetoprim-sulfametoaxazol, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. აღმოჩნდა, რომ მოცემული შტამები მგრძნობელობას ინარჩუნებდნენ (S) შემდეგი პრეპარატების მიმართ: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მასალაზე HUS-ით განვითარდა STEC-ინფექციის დროს უფრო ხშირად განვითარდა იმ პაციენტებში, რომელთაც ანტიბიოტიკოგრამა დაეწყოთ კლინიკაში შემთხველამდე. ჰემორაგიული კოლიტის შედარებით მძიმე მიმდინარეობა აღენიშნება პაციენტებს, რომლებიც ბინაზე ლევომიცეტინით იწყებდნენ თვითმეურნალობას. ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში სამკურნალო ტაქტიკა ითვალისწინებდა პათოგენური და სიმპტომურ თერაპიას (კრისტალოიდური, კოლოიდური ხსნაების ინფუზია, ვიტამინოთერაპია და სხვ.). ანტიბიოტიკოგრამის მიზნით გამოყენებული იყო

ცეფალოსპორინები და ფტორქინოლონები იმ პაციენტებში, საჭირო დაავადების მძიმე მიმდინარეობა აღინიშნებოდა. ჰემოდიალიზი საჭირო გახდა 5-თან (10%). ლეტალური შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

## შედეგები და გათი განხილვა

ამრიგად, ჰემორაგიული კოლიით დაავადებული 100 პაციენტის კომპლექსური ბაქტერიოლოგიური, მოლექულურ-ბიოლოგიური და სეროლოგიური კვლევით STEC-ინფექციის დიაგნოზის დადასტურება შესაძლებელი გახდა შემთხვევათა 50%-ში, რაც მიუთითებს საქართველოში შიგა-ტოქსინ მაპროდუცირებელი *E. coli*-ის ცირკულაციაზე. გამოვლენილი იყო როგორც O157, ისე non-O157 სეროვარები (0157, 026, 0111, 0103 და ა.შ.). ბაქტერიოლოგიურ კვლევასთან შედარებით (41% vs 19%), STEC-ინფექციის დადასტურების სიხშირე ლაბორატორიული კვლევის ახალი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (PCR და ImmunoCard STAT მეთოდი) სარწმუნოდ გაიზარდა ფერალიებში შიგა-ტოქსინის მოლექულური მარკერების (stx1, stx2, eae, ehy) დეტექციის შემდეგ. გამოყოფილი მაღალრეზისტენტული შტამების არსებობა კი სავარაუდოდ წინა პერიოდში არარაციონალური ანტიბიოტიკოთერაპიის (Ceftriaxone, ciprofloxacin და ა.შ.) გამოყენების შედეგი უნდა იყოს. ეს კი ემთხვევა ავტორთა შეხედულებას EHEC ინფექციის მკურნალობაში ანტიბიოტიკოთერაპიის არაეფექტურობაზე. STEC-ინფექცია კლინიკურად ხასიათდებოდა სუბფებრილური ცხელების ფონზე მძიმე აბდომინური სინდრომის განვითარებით და HUS-ით გართულებით 26% შემთხვევაში. STEC-ინფექციის HUS-ით გართულება უფრო ხშირად აღინიშნა ქალებში პრემორბიდული ფონით. კომპლექსური ეტიოპათოგენური თერაპიით ყველა პაციენტი განიკურნა, ლეტალურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

## ლიტერატურა

1. მეცნიერებელი შეკვეთი თ. პირობით პათოგენური ენტერობაქტერიებით გამოწვეული ნაწილავთა მწვავე ინფექციების კლინიკური თავისებურებები მოზრდილებში. ავტორეფერატი, 1992, გვ. 10-22.
2. Bennett W.J., Tarr P. Enteric Infections and Diagnostic Testing. 2009, 25, 1-7.
3. Robert Koch Institute (RKI). The epidemiology bulletin of the Koch Institute [http://www.rki.de/cln\\_169/nn](http://www.rki.de/cln_169/nn).
4. Takkinnen J. European Center for Disease Prevention and Control. STEC 0104:H4, activities at EU level. Eu, RL, for E. coli, Rome, 4 November, 2011.
5. Tarr P.I., Gordon C.A., Chandtre W.L. Lancet, 2008, 365, 1087-1110.
6. World Health Organization. Available at <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs330/en/index.html>

## ОСОБЕННОСТИ STEC-ШИГА ТОКСИН ПРОДУЦИРУЮЩЕЙ *E.COLI*-ИНФЕКЦИИ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

*E. Vashakidze<sup>1</sup>, T. Megrelishvili<sup>1</sup>, E. Pachkoria<sup>1</sup>, L. Tevzadze<sup>2</sup>, M. Jangavadze<sup>1</sup>*

<sup>1</sup> Тбилисский медицинский государственный университет, кафедра инфекционных болезней; <sup>2</sup> Национальный центр контроля заболеваний и общественного здравоохранения Грузии

### РЕЗЮМЕ

Под наблюдением находились 100 больных, лечившихся в Научно-практическом центре инфекционной патологии ВИЧ и клинической иммунологии в 2011 году, с диагнозом геморрагического колита. Цель исследования – определить удельную долю STEC-инфекции в этиологической структуре геморрагических колитов и выявить клинические особенности при осложнении ГУС синдромом. STEC-инфекция подтвердилась у 50 пациентов (50%). Подтверждение STEC-инфекции проводилось бактериологическим, молекулярно-биологическим и серологическим методами. Полученные лабораторные данные указывают на циркуляцию Шига-токсина продуцирующих штаммов эшерихий на территории Грузии. Выявлены как 0157, также non-0157 штаммы (026, 0111, 0103 и т.д.). Современными лабораторными методами (PCR, ImmunoCard STAT) частота подтверждений STEC-инфекции (детекция молекулярных маркеров Шига токсина) увеличилась по сравнению с бактериологическими исследованиями. STEC-инфекция отличалась тяжёлым течением, по сравнению с геморрагическими колитами другой этиологии. Была изучена антибиотикограмма 11 штаммов. Выделенные штаммы в большинстве случаев проявляли высокую резистентность и низкую чувствительность к следующим антибиотикам: Ampicillin, Cefazolin, Doxycycline, Trimetropim-sulfamетоксазол, Ceftriaxone, Ciprofloxacin, Aztreonam, Amikacin. Выяснилось, что данные штаммы сохраняли чувствительность к следующим антибиотикам: Imipenem, Piperacillin-tazobactam, Chloramphenicol, Fosfomycin, Gentamicin. В течение STEC-инфекции осложнения ГУС синдромом чаще всего проявлялись у тех пациентов, которые принимали антибиотики до поступления в клинику. Осложнения выявились чаще у женщин с преморбидным фоном. Гемодиализ понадобился в 5 случаях. После проведения этиопатогенезной терапии все пациенты вылечились. Летального исхода не наблюдалось.

## PECULIARITIES OF STEC-SHIGA-TOXIN-PRODUCING *E. COLI* INFECTION AT THE MODERN STAGE

*E. Vashakidze<sup>1</sup>, T. Megrelishvili<sup>1</sup>, E. Pachkoria<sup>1</sup>, L. Tevzadze<sup>2</sup>, M. Jangavadze<sup>1</sup>*

<sup>1</sup> Tbilisi State Medical University. Department of Infectious Diseases; <sup>2</sup> National Center for Disease Control and Public Health

### SUMMARY

In 2011 the 100 hospitalized patients with hemorrhagic colitis underwent observation at the Center of Infectious Diseases, Aids and Clinical Immunology Practical-Research Center. The aim of our research was the identification of STEC-strains rate in the structure of hemorrhagic colitis

and revealing clinical features of the cases complicated by HUS. STEC-infection was confirmed by the bacteriological, molecular-biological and serological investigations (PCR an ImmunoCard STAT methods) (NCDC) in case of 50 patients. The laboratory results indicate that shiga-toxin producing E.coli is circulating in Georgia. There are not only 0157 but non-0157 strains as well (026, 0111, 0103, etc.) After revealing the shiga-toxin molecular markers in the stool by the use of the new and modern laboratory researches (PCR and ImmunoCard STAT) the rate of STEC-infection confirmation has significantly increased in comparison with the bacteriological researches (41% vs 19%). STEC-infection was characterized by the severe course of clinical manifestation as compared to hemorrhagic colitis.

Antibioticogram of isolated 11 EHEC strains was studied. The isolation in most cases revealed high resistance and less sensitivity to the following antibiotics: Ampicilin, Cefazolin, Doxycycline, Trimetropim-sulfametoazol, Ceftriaxone, Ciprofloxacine, Aztreonam, Amikacin. It was found out that they had sensitivity to the next antibiotics: Imipenem, Piperacilin-tazobactam, Chlorampenicol, Fosfomycin, Gentamicin.

The complication of STEC-infection by HUS is most often seen in those patients who received antibiotics before admission to hospital. Complications developed in 32% of patients, out of which HUS was revealed more frequently in women with the history of premorbid background (26%). 5 patients required dialysis. Every patient was cured by complex etiological-pathogenic therapy and there were no cases with lethality.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ. 38, № 3-4  
 Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 3-4  
 Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 3-4

## CD95 ანტიგენის ექსპრესიის ხარისხის პროგნოზული მიმღებელობა დამზორებლივი რაციონალური დაგადაფინანსირებული დროს

ქ. ჭოდელავა, ი. დათვეჯაშვილი-დავიძი

პეტატოლოგის და ქიმიოთერაპიის კლინიკა “ჰემა”

მიღებულია 09.07.2012

ცნობილია, რომ უჯრედთა პროგრამირებული კვდომა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მოქლ რიგ დაავადებათა პათოგენუსს და, ამავე დროს, მედიკამენტების სამკურნალო შექმნითი სწორედ დარღვეული ასოპტოზის აღდგენაზეა დამყრებული, რაც ხორციელდება როგორც პირდაპირი, ასევე CD95 დამოკიდებული ციტოტოქსიკურობის გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება CD95/Fas/Apo-1 ანტიგენის ექსპრესიის შეფასებას ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მიმღინარების პროგნოზირებასა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა ერთ-ერთი ასოპტოზური მარკერის – CD95/Fas/Apo-1 პროგნოზული მნიშვნელობის დადგენას ლიმფოპროლიფრაციული დაავადებების (ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემია, ჰოჯკინის და არაჰოჯკინის ლიმფომა) მიმღინარებასა და ქიმიოთერაპიისადმი მგრძნობელობის წინასწარ შეფასებაში. ჰოჯკინის ლიმფომის დროს Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა ( $CD95 < 25\%$ ) საერთო გადარჩენადობა იყო 53%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას ( $CD95 > 25\%$ ) – 81% ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემიის დროს Fas ანტიგენის მიხედვით ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა ( $CD95 < 25\%$ ) საერთო გადარჩენადობა 62.5%-ს შეადგენდა, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას ( $CD95 > 25\%$ ) – 85%. არაჰოჯკინის ლიმფომით დაავადებულ პაციენტებში Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა ( $CD95 < 25\%$ ) საერთო გადარჩენადობა იყო 7%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას ( $CD95 > 25\%$ ) – 30%.

ჩატარებული შრომის საფუძველზე შეგვიძლია რეკომენდაცია გაგუწიოთ CD95 ანტიგენის რაოდენობრივი შეფასების გამოყენებას ქრონიკული ლეიკემიის მიმღინარების განსაზღვრისთვის როგორც დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორის, ასევე “Rai რისკის ჯგუფების”, “IPI” და “IPFP” დამატებითი კრიტერიუმის სახით, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტთათვის.

საკვანძო სიტყვები: ასოპტოზი, CD95/APO-1/FAS, Rai რისკ-ჯგუფი, IPI და IPFP კრიტერიუმები

ონკოპემატოლოგიურ დაავადებათა მკერნალობის საქმეში არსებული წარმატებების მიუხედავად, დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება ჰემობლასტოზების ქიმიოთერაპიისადმი მგრძნობელობის წინასწარ განსაზღვრა [1, 3], რაც მკურნალობის დიფერენცირებული ტაქტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა. ცნობილია, რომ უჯრედთა პროგრამირებული კვდომა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მთელ რიგ დაავადებათა პათოგენეზს [2, 4, 6, 9] და, ამავე დროს, მედიკამენტების სამკურნალო ეფექტი სწორედ დარღვეული აპოპტოზის აღდგენაზეა დამყარებული, რაც ხორციელდება როგორც პირდაპირი, ასევე CD95 დამოკიდებული ციტოტოქსიკურობის გზით [3, 4, 9]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება CD95/Fas/Apo-1 ანტიგენის ექსპრესიის შეფასებას ონკოპემატოლოგიურ დაავადებათა მიმღინარეობის პროგნოზირებასა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში [8, 9].

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა ერთ-ერთი აპოპტოზური მარკერის – CD95/Fas/Apo-1 პროგნოზული მნიშვნელობის დადგენას ლიმფოპროლიფერაციული დაავადებების (ქრონიკული ლიმფოიდური დეიკმია, ჰოჯკინის და არაჰიპენიის ლიმფომა) მიმღინარეობასა და ქიმიოთერაპიისადმი მგრძნობელობის წინასწარ შეფასებაში.

## გასაღა და გეთოდება

პაციენტები მკურნალობდნენ პემატოლოგიის და ქიმიოთერაპიის კლინიკა შპს „ჰემა“-ში.

პერიფერიული ლიმფოციტების სპონტანური 24-საათიანი აპოპტოზის განსაზღვრა ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ჰოჯკინის ლიმფომით დაავადებული 50 ავადმყოფი, რომლებსაც ჩაუტარდათ მკერნალობა ქიმიოთერაპიის სქემების ("BEACOPP", "EPOCH", "OEAP", "ABVD", "CEVD", "LABO", "OPPA", "CEM", "Dexa-BEAM", "DHAP") მიხედვით. გამოკვლეულთა ასაკი მერყეობდა 15-დან 75 წლამდე. დაავადების სტადია განისაზღვრებოდა 1971 წელს ქ. ან-არბორში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით. ავადმყოფების რისკის ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა „საერთაშორისო პროგნოზულ ფაქტორთა პროექტის“ (International Prognostic Factors Project (IPFP)) შესაბამისად.

კვლევა მოიცავდა არაჰიპენიის ლიმფომით დაავადებულ 54 ავადმყოფს, რომლებსაც ჩაუტარდათ მკურნალობა ქიმიოთერაპიის სქემების ("COP", "CHOP", "CHOEP", "DHAP", "EPOCH", "RACOP", "ACOP", "BEACOPP", "MiniBEAM") მიხედვით. პაციენტთა 56% (n = 30) იყო ქალი, ხოლო მამაკაცი – 44% (n = 24). გამოკვლეულთა ასაკი მერყეობდა 19-დან 76 წლამდე. დაავადების სტადია განისაზღვრებოდა 1971 წელს ქ. ან-არბოში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით. ავადმყოფების რისკის ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა „საერთაშორისო პროგნოზული ინდექსის“ (IPI) კრიტერიუმების მიხედვით.


გამოკვლეულია ქრონიკული ლიმფოდური ლეიკემიით დაავადებული 26 წლის მაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა ლეიკერანის, ფლუდარაბინის და “ACOP”, “CHOP”, “CHOEP” ქიმიოთერაპიული სექმების გამოყენებით. გამოკვლეულთა ასაკი მერყეობდა 45-დან 80 წლამდე. დაავადების სტადია განისაზღვრებოდა Rai კლასიფიკაციის (1975) მიხედვით. ავადმყოფების რისკის ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა “Ria რისკის ჯგუფების” შესაბამისად.

საწყის ეტაპზე კლინიკურ-ჰემატოლოგიურ მონაცემებთან ერთად ყველა პაციენტს გამდინარე ციტომეტრის (“Becton&Dickinson”) გამოყენებით ჩაუტარდა პერიფერიული ლიმფოციტების CD95/FAS/APO-1 ანტიგენის ექსპრესიის განსაზღვრა ანტი-Fas ფლუორესცინ-იზოციანატთან (FITC)-კონიუგირებული თაგვის მონოკლონურ ანტისხეულებით (მბა) (“Dako”).

საერთო გადარჩენადობის გამოთვლა ჩატარდა აქტუარიალური მეთოდით (Д.П. БерეЗКИН, 1982).

## უერგები და მათი განხილვა

ჰოჯკინის ლიმფომის დროს, Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა (CD95 < 25%) საერთო გადარჩენადობა იყო 53%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას (CD95 > 25%) – 81% (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით

IPFP პროგნოზული ჯგუფებისა და APO-1 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით, ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობის ანალიზით ნათელი გახდა, რომ დაბალი ავთვისებიანობის ჯგუფებში CD95 უარყოფით და დაღებით პაციენტთა გადარჩენადობამ შეადგინა 67% და 81%, ხოლო პროგნოზულად არაკეთილსაიმედო ჯგუფში შესაბამისად – 50% და 80%.




დიაგრამა 2. ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით თითოეულ პროგნოზულ ჯგუფში


არაპოზიტინის ლიმფომით დაავადგბულ პაციენტთა პერიფერიულ ლიმფოციტებზე CD95 ანტიგენის მინიმალური ექსპრესია იყო 0.03%, ხოლო მაქსიმალური – 93.61%.

Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა ( $CD95 < 25\%$ ) საერთო გადარჩენადობა იყო 7%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას ( $CD95 > 25\%$ ) – 30%.


IPI პროგნოზული ჯგუფებისა და APO-1 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით, ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობის ანალიზით ნათელი გახდა, რომ დაბალი და საშუალო-დაბალი ავთვისებიანობის ჯგუფებში CD95 უარყოფით და დადგებით პაციენტთა გადარჩენადობას შორის მნიშვნელოვნი განსხვავდა ნანახი არ იყო (IPI0-1 50% და 68%; IPI2 – ორივე ჯგუფში 50% –  $P > 0.5$ ), ხოლო საშუალო-მაღალი და მაღალი ავთვისებიანობის ჯგუფში 30 თვის მანძილზე ცოცხალი რჩქოდა ავადმყოფთა მქეორად განსხვავებული რაოდენობა (IPI3 20% და 70%; IPI4 11% და 50%,  $p < 0.001$ ).



დიაგრამა 3. ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით




დიაგრამა 4. პაციენტთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის ქსპრესიის მიხედვით IPI3 პროგნოზულ ჯგუფში




დიაგრამა 5. პაციენტთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით IPI4 პროგნოზულ ჯგუფში

ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემიის დროს Fas ანტიგენის მიხედვით, ავადმყოფთა გადარჩენადობის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ CD95 უარყოფით პაციენტთა ( $CD95 < 25\%$ ) საერთო გადარჩენადობა იყო 62.5%, ხოლო ანტიგენის პოზიტიური ექსპრესიისას ( $CD95 > 25\%$ ) – 85% (დიაგრამა 6).

პროგნოზული ჯგუფებისა და APO-1 ანტიგენის ექსპრესიის მიხედვით, ავადმყოფთა საერთო გადარჩენადობის ანალიზით ნათელი გახდა, რომ საშუალო რისკის ჯგუფში  $CD95$  უარყოფით და დადებით პაციენტთა გადარჩენადობამ ორივე ჯგუფში 100% შეადგინა, მაღალი რისკის მქონე  $CD95$ -უარყოფით ჯგუფში – 56.5%, ხოლო დადებითი ექსპრესია მეტად იშვიათი იყო, რის გამოც სტატისტიკური ანალიზი ვერ მოხერხდა (დიაგრამა 7).



დიაგრამა 6. აგადმყოფთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის გქსპრესიის მიხედვით



დიაგრამა 7. პაციენტთა საერთო გადარჩენადობა CD95 ანტიგენის გქსპრესიისა და რისკის ჯგუფების მიხედვით

ამრიგად, ჩატარებული შრომის საფუძველზე შეგვიძლია რეკომენდაცია გავუწიოთ CD95 ანტიგენის რაოდენობრივი შეფასების გამოყენებას ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემიის მიმდინარეობის განსაზღვრისთვის როგორც დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორის, ასევე “Rai რისკის ჯგუფების”, “IPI” და “IPFP” დამატებითი კრიტერიუმის სახით, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტთათვის.

## ლიტერატურა

1. Gruszka-Westwood A.M., Hamoudi R.A. et al. Blood, 2001, 97(11), 3552-3558.
2. Koduru P.R.K., Raju K. et al. Blood, 1997, 15, 4078-4091.

3. Krammer P.H., Behrmann I., Daniel P., Dhein J., Debatin K.-M. Current Opinion in Immunology, 1994, 6, 279-289.
4. Rothstein Th.L. Current Opinion in Immunology, 1996, 8, 362-371.
5. Sang-Kyun Sohn, Jong-Gwang Kim, Tae-in Park et al. Annals of Oncology, 2002, 13, Supplement 5, p. 121.
6. Schmitz I., Kirchhoff S., Krammer P.H. The International Journal of Biochemistry and Cell Biology, 2000, 32, 11-12, 1123-1136.
7. Sharma K., Wang R.X., Zhang L.Y. et al. Pharmacology and Therapeutics, 2000, 88, 3, 333-347.
8. Winoto A. Current Opinion in Immunology 1997, 9, 365-370.
9. Wyllie A.H. Current Opinion in Genetics & Development 1995, 5, 97-104.

## ПРОГНОСТИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ ЭКСПРЕССИИ АНТИГЕНА CD95 У ПАЦИЕНТОВ С ЛИМФОПРОЛИФЕРАТИВНЫМИ ЗАБОЛЕВАНИЯМИ

*М. Зоделава, И. Датикашвили-Давид*

Клиника гематологии и химиотерапии “ГЕМА”

### РЕЗЮМЕ

Антигены апоптоза играют ведущую роль как в патогенезе, так и в чувствительности к цитостатическим препаратам больных БХ, НХЛ и ХЛЛ. Целью работы было выявление корреляции между экспрессией CD95/Fas/Apo-1 антигена и течением БХ, НХЛ и ХЛЛ. Методом проточной цитометрии специфическими анти-CD95 мышьями антигенами производилось измерение 24-часового спонтанного апоптоза периферических лимфоцитов 48 больных БХ, в возрасте 15-75 лет. Общая выживаемость (OB) CD95-негативных (25%) была равна 53%, а при положительной экспрессии – 81%. При анализе OB в отдельных IPFP прогностических группах оказалось, что в группе низкого риска при CD95(-) и CD95(+) подгруппах OB была 67% и 80%, а в группе высокого риска при CD95(-) OB равнялась 50%, хотя при CD95(+) – 81%. Исследованы 54 больных НХЛ в возрасте 19-78 лет. Общая выживаемость (OB) CD95-негативных (< 25%) была равна 7%, а при положительной экспрессии (CD95>25%) – 30%. При анализе OB в отдельных IPI прогностических группах оказалось, что в группе низкого и низко-промежуточного риска при CD95(-) и CD95(+) подгруппах OB была одинаковая (IPI 0-1 50% и 68%, IPI 2 50%, соответственно, а в группе высоко-промежуточного и высокого риска при CD95(-) была зафиксирована значительно низкая OB, чем в CD95(+) подгруппах (IPI 3 20% и 70%, IPI 4 11% и 70%). Были исследованы 26 больных ХЛЛ в возрасте 45-80 лет. Общая выживаемость (OB) CD95-негативных (25%) была равна 62.5%, а при положительной экспрессии – 85%. При анализе OB в отдельных Rai прогностических группах оказалось, что в группе высокого риска при CD95(-) OB равнялась 56.5%, а при CD95(+) – 100%, хотя в группе промежуточного риска такого различия не наблюдалось (100% в обеих подгруппах). Полученные данные свидетельствуют, что при лимфопролиферативных заболеваниях позитивная экспрессия CD95 антигена является благоприятным прогностическим фактором как независимо, так и в ассоциации с IPI, IPFP и Rai критериями.

## THE PROGNOSTIC SIGNIFICANCE OF APOPTOSIS-RELATED CD95 ANTIGEN EXPRESSION IN PATIENTS WITH LYMPHOPROLIPHERATIVE DISORDERS

*M. Zodelava, I. Datikashvili-David*

Hematology and Chemotherapy Clinic “HEMA”

### SUMMARY

Apoptosis-related proteins might play an important role in pathogenesis and sensibility to the chemotherapeutical drugs in patients with Hodgkin's disease, Non-Hodgkin's lymphoma and chronic lymphocytic leukemia. In our study we tried to find out the relation between the expression of CD95/Fas/Apo-1 antigen and clinical outcome of HD, NHL and CLL patients. We have measured 24-hour spontaneous apoptosis of peripheral lymphocytes on flow cytometer using specific monoclonal anti-CD95 mouse antibodies in 48 patients aged 15-75 years. We have evaluated Fas expression in HD patients and proved that the above mentioned marker can be a significant prognostic factor in predicting overall survival (OS), because in CD95 “-“ (< 25%) pts. OS was 53% vs. CD95”+” – 81%. After grouping pts. by IPFP score in low risk-group in Fas negative and positive cases OS occurred to be 67% and 80%, although in unfavorable risk-group the OS values differed according to the CD95 expression 50% vs. 81%. In NHL patients Fas expression proved to be a significant prognostic factor in predicting overall survival (OS) because in CD95 “-“ (< 25%) pts. OS was 7% vs. CD95”+” – 30%. After grouping pts. by IPI score there was no significant difference between Fas negative and positive cases (IPI 1 – 50% vs. 68%; IPI 2 – 50% both), although in unfavorable risk-groups the OS values differed according to the CD95 expression (IPI 3 – 20% vs. 70%; IPI 4 – 11% vs. 50%). In CLL patients we have measured 24-hour spontaneous apoptosis of peripheral lymphocytes on flow cytometer using specific monoclonal anti-CD95 mouse antibodies in 26 patients aged 45-80 years. Fas expression proved to be a significant prognostic factor in predicting overall survival (OS) because in CD95 “-“ (< 25%) pts. OS was 62.5% vs. CD95”+” – 85%. After grouping pts. by Rai risk groups in intermediate risk-group there was no difference in Fas negative and positive cases OS (100% both), although in high risk-group the OS values differed according to the CD95 expression 56% vs. 100%. So we conclude that Apo-1 positive expression appears to be predictive of good overall survival as an independent prognostic parameter, as well as in association with IPFP, IPI and Rai risk-groups.

## SCREENING FOR LUNG CANCER

Z. Cohen

New Jersey Medical School, Division of Pulmonary and Critical Care Medicine, USA

Accepted 25.05.2012

Lung cancer is the leading cause of cancer-related death worldwide. Once diagnosed, it usually carries a dismal prognosis, with 5-year survival rates at approximately 15% in the United States and in most developed countries. Smoking cessation remains the most effective method of prevention, however it's been relatively difficult to accomplish. Numerous studies since the 1950s have examined the role of various screening modalities in prevention of lung cancer and the mortality associated with it, however a great majority of them were negative or inconclusive due. More recently, a large randomized controlled study, the National Lung Screening Trial (NLST) conducted in the United States showed mortality benefit from using low-dose computer tomography scanning for screening for lung cancer when compared to screening based on chest X-rays only. The article will examine the inherent problems associated with lung cancer screening in general and will critically appraise the results and outcomes of the NLST.

**Key words:** Lung cancer, lung cancer screening, low dose CT, national lung screening trial

Lung cancer is the leading cause of cancer death worldwide [11]. When compared to lung cancer, breast cancer is approximately three times more common in women and prostate cancer is approximately twice as common in men, but lung cancer kills more patients than breast, prostate and colon cancer, combined [12]. This dismal outcome has two major causes: lung cancer is often diagnosed at late stages, when there are limited treatment options and essentially no cure; even when diagnosed in early stages with localized disease, patients with lung cancer have approximately 50% 5-year survival rate [12]. For a comparison, breast, prostate and colon cancer all have > 90% 5-year survival rate when diagnosed early [12]. Recent advances in diagnosis and treatment of major causes of death, such as cardiovascular disease and other types of cancer, have resulted in dramatic improvement in survival rates [13]. However, overall 5-year survival rate from lung cancer remains at 16% in the United States (US) and has not changed in the last few decades [12].

If we cannot make a difference in the outcomes of lung cancer once it's diagnosed, can we prevent it? The best way to prevent lung cancer is to avoid risk factors. Tobacco smoke is the major (essentially the only) identifiable cause of lung cancer. Although in

the majority of Western countries the trend is towards lower rates of lung cancer, the number of individuals diagnosed with lung cancer continues to increase in Eastern Europe and China, especially in women [11]. Unequivocally, the majority of the emphasis on prevention of lung cancer (and many other smoking-induced chronic illnesses) should be placed on never starting or quitting smoking [7]. However, there are many individual and societal barriers to achieve this elusive goal. The discussion on various methods to quit smoking, and their potential for success or failure, are outside of the scope of this article. Interventions other than quitting smoking, such as nutritional supplements or pharmacologic interventions, in smokers at-risk for lung cancer have uniformly been unsuccessful [6] and will also not be discussed here.

With other types of lung cancer prevention being either ineffective or difficult to achieve, the attention has shifted onto detecting lung cancers early enough to be effectively cured by surgical resection. Different investigators have looked at various modes of screening: chest imaging alone, or combined with either sputum cytology, exhaled breath or other biomarkers [14]. Essentially all of these tests lack the biological specificity and only suggest that lung cancer might be present, rather than make the actual histologic diagnosis of lung cancer. For example, screening by computer tomography (CT) scanning detects a nodule, which then has to be biopsied to make the final diagnosis. Multiple other tests, usually imaging, are also commonly performed to evaluate patients with a positive screening test. Needless to say that many studies examining lung cancer screening report ‘false positive’ results of screening, i.e. detecting nodules that are suspicious, but ultimately proven not to be cancer. Prior to discussing individual studies with their individual strengths and weaknesses, it is helpful to review the risks, benefits and potential pitfalls of screening for lung cancer. Screening tests, seemingly very beneficial in detecting serious and potentially life-threatening diseases early, are inherently attractive. Would it not be better to diagnose the hypertension early and treat it, rather than treating the devastating results of uncontrolled hypertension, such as heart attack and stroke? Generalizing the results of other screening and prevention studies onto malignancies in general and lung cancer in particular is a difficult task. When it comes to screening for cancer, the issues get exponentially more complex.

Важной проблемой в области здравоохранения является изучение механизмов, через которые генетическая предрасположенность влияет на здоровье. Одним из направлений в этом направлении является изучение генетических маркеров, связанных с различными заболеваниями и физиологическими процессами. Генетические маркеры могут быть использованы для ранней диагностики, прогнозирования риска развития болезни, а также для определения индивидуальной чувствительности к различным факторам окружающей среды.

Важно отметить, что генетическая предрасположенность не является единственным фактором, определяющим здоровье человека. Важны также другие факторы, такие как образ жизни, профессиональная деятельность, климатические условия и т.д. Поэтому для достижения высокого уровня здоровья необходимо комплексный подход, включающий не только генетическое исследование, но и изучение других факторов, влияющих на здоровье.

Важной проблемой в области здравоохранения является изучение механизмов, через которые генетическая предрасположенность влияет на здоровье. Одним из направлений в этом направлении является изучение генетических маркеров, связанных с различными заболеваниями и физиологическими процессами. Генетические маркеры могут быть использованы для ранней диагностики, прогнозирования риска развития болезни, а также для определения индивидуальной чувствительности к различным факторам окружающей среды.

Важно отметить, что генетическая предрасположенность не является единственным фактором, определяющим здоровье человека. Важны также другие факторы, такие как образ жизни, профессиональная деятельность, климатические условия и т.д. Поэтому для достижения высокого уровня здоровья необходимо комплексный подход, включающий не только генетическое исследование, но и изучение других факторов, влияющих на здоровье.

## Литература

1. Беленков Ю.Н., Мареев В.Ю., Агеев Ф.Т. Кардиология, 2001, 41(5), 100-104.
2. Демьянов А.В., Котов А.Ю., Симбирцев Н.Э. Цитокины и воспаление, 2003, 2(3), 20-33.
3. Закирова Н.Э. Кардиоваскулярная терапия и профилактика, 2004, 3(2), 53-58.
4. Карпов Ю.А., Сорокин Е.В., Фомичева О.А. Сердце, 2003, 2, 4, 190-192.
5. Корочкин И.М., Облокунов И.У., Федулаев Ю.Н. Сердечная недостаточность, 2005, 7(3), 121-123.
6. Назаров П.Г. Иммунология, 1998, 6, 19-24.
7. Некрасов А.А. Сердечная недостаточность, 2011, 1, 13-16.
8. Ольбинская Л.И., Игнатенко С.Б. Сердечная недостаточность, 2002, 2(12), 87-91.

9. Ольбинская Л.И., Сизова Ж.М., Игнатенко С.Б. Сердечная недостаточность, 2006, 7, 3, 116-120.
10. Серебрякова О.В., Говорорин А.В., Просяник В.И., Бакшеева Е.В. Сердечная недостаточность, 2007, 6, 24-27.
11. Ситникова М.Ю. и др. Влияние ингибиторов АПФ на цитокиновую активацию и дисфункцию эндотелия у больных с ХСН. Гедеон Рихтер с СНГ, 2011, 4(8), 62-64.
12. Тетенкулова С.И., Беленков Ю.Н., Мареев В.Ю. и соавт. Сердечная недостаточность, 2009, 2, 33-36.
13. Aukrust P. et al. Am. J. Cardiol., 1999, 83, 376-382.
14. Biasucci L., Vitteli A., Liuzzo G. Circulation, 1996, 94, 874-878.
15. Carswell E. et al. Proc. Natl. Acad. Sci., USA, 1995, 72, 3666-3670.
16. Cook S. Eur. Heart. J., 1999, 20(22), 1619-1629.
17. Damas J. et al. Cardiovasc. Res., 2000, 47, 778-787.
18. Meldrum D. Am. J. Physiol., 1998, 274, 577-595.
19. Pagani F. et al. J. Clin. Invest., 1992, 6, 389-398.
20. Zhang M., Tracey K. Tumor necrosis factor. In the cytokine handbook. Eds. A. W. Tompson. New York; AP, 1998, 3, 515-548.

## МАРКЕРЫ ВОСПАЛЕНИЯ И ИХ ВЛИЯНИЕ НА РАЗВИТИЕ ЗАБОЛЕВАНИЙ СЕРДЕЧНО-СОСУДИСТОЙ СИСТЕМЫ

*Н. Мамамтавришвили, Г. Абуладзе, Г. Мацаберидзе*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

В статье рассматривается значимая роль медиаторов воспаления в развитии кардиоваскулярной патологии. Показано, что основным фактором, влияющим на течение и прогноз хронической сердечной недостаточности, наряду с гемодинамическими нарушениями, является активация воспалительных реакций с участием провоспалительных цитокинов. Изменение уровня цитокинов ассоциируется с глубиной поражения, тяжестью течения, исходом заболевания. Показана актуальность поиска новых лекарственных средств в дополнение к "традиционным препаратам", используемым для лечения хронической сердечной недостаточности.

## THE EFFECT OF INFLAMMATION MARKERS IN THE DEVELOPMENT OF CARDIOVASCULAR SYSTEM DISEASES

*N. Mamamtavrishvili, G. Abuladze, G. Matsaberidze*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy; Iv. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The role of cytokines in the development of cardiovascular organic pathologies is shown in the reviewed article. One of the main factors which affect the progress of ischemic heart diseases along with hemodynamic abolition is the activation of inflammatory reactions with participation of preinflammatory cytokines. Changes in the level of cytokines are associated with the progression of disease, as well as with its outcome. The need in new preparations along with the current "traditional preparations" is also shown.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, გ. 38, № 3-4

Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 3-4

Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 3-4

## ბილატერალური ერთმომაცემიანი ქირურგიული ჩარჩვები ზოლტვების პულოზური ემზიზების ღრმის

**გ. ქარაძე, ლ. მაჭარაშვილი, ლ. ქარაძე, რ. გობექია, ბ. თხიანი**  
შპს “ამტელ პოსპიტალ პირველი კლინიკური”

მიღებულია 31.05.2012

1998-2012 წლებში პროფ. ზ. ცხაკაიას სახ. ორაკო-აბდომინური ქირურგიის კლინიკის თორაპალურ განყოფილებაში ფილტვების ორმხრივი ბულოზური ემფიზებით მეურნალობას გადიოდა 42 ავადმყოფი. აქედან ქალი იყო 7, მამაკაცი კი – 35, ასაკი მერყვეობდა 17-დან 64 წლამდე. 4 შემთხვევაში ადგილი პერინდა ფილტვების დიფუზურ ემფიზებას, 20 ავადმყოფს აღვნიშნებოდა გიგანტური ზომის ბულები 120-150 მმ-მდე, რომლებიც ძირითადად მდგებარეობდა ზემო წილებში. ყველა პაციენტს უტარდებოდა სრული რენტგენოლოგიური გამოკვლევა კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩათვლით და ფილტვების გარეგანი სუნთქვის ფუნქციის კვლევა. 17 პაციენტს ჩაუტარდა გამასცინტიგრაფია. 21 ავადმყოფს ჩაუტარდა ორგანოშემანარჩუნებელი ბილატერალური ოპერაცია სტერნოტომიული მიღღომით. 9 შემთხვევაში ვიდეოასისტირებით ჩატარდა ბილატერალური ოპერაცია ორმხრივი მინიორიალობობის სახით. 10 შემთხვევაში ცალმხრივი მინიორიალობმია შერწყმული იყო თორაკოსკოპიულ ჩარევასთან კონტრალატერალურ მხარეს. გართულებას და ლეტალობას ადგილი არ ჰქონია.

**საკვანძო სიტყვები:** ბულოზური ემფიზება, ბილატერალური, მინიორიალობმია ვიდეოასისტირებით, სტერნოტომია, თორაკოსკოპია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში აღინიშნება ფილტვების ობსტრუქციული დაავადებების შეუჩერებელი ზრდა [8, 9]. ბოლო 20 წლის განმავლობაში ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების გამო სიკვდილიანობა ყოველ 5 წელიწადში ორმაგდება [1, 13]. ეკროპულ ქვეყნებში ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებებს, როგორც სიკვდილის მიზეზს, მესამე ადგილი უკავია, ხოლო ამერიკაში – მეოთხე. ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების გამომწვევი მიზეზები მრავალფეროვანია და ძირითადად დაკავშირებულია გამაღიზიანებელი ნივთიერებების ინპალაციასთან. გარდა ამისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდა ასაკში ფილტვის ემფიზების (ვე) განვითარებაში ასრულებს ალფა-1 ანტიტრიფსინის გენეტიკური უკმარისობა. ბულოზური

ემფიზება ყველაზე ხშირად გამოვლინდება სპონტანური პნევმოთორაქსის სახით, რაც ამ პათოლოგიის ერთ-ერთი გართულებაა [10, 20]. პნევმოთორაქსის დროს ავადმყოფები ხშირად ხვდებიან ზოგადი პროფილის ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც ხშირად არასაკმარისი ქირურგიული აქტიურობით იფარგლებიან, რაც გულისხმობს მხოლოდ ფილტვის გაშლას, ხოლო ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს გაუმართლებელ გაფართოებულ ჩარევას, რაც გამოიხატება ფილტვის ერთი ან ორი წილის რეზექციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ტარდება ბევრი კვლევა, რომლებიც ეთმობა ფილტვების ბულოზური ემფიზემის დიაგნოსტიკისა და მეურნალობის ტაქტიკას, მაინც, თანამედროვე მედიცინის მიღწევების გათვალისწინებით, მთელი რიგი საკითხები დაზუსტებას საჭიროებენ. ამ ბოლო ხანებში ზეს დროს სულ უფრო ხშირად გამოიყენება ორგანოშემნარჩუნებელი ოპერაციები. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში განხდა ინფორმაცია ერთმომენტიან ბილატერალურ ოპერაციებზე. ბულოზური ემფიზემა (ბე) ორმხრივ ხასიათს ატარებს, რაც ქირურგიული მიღვომის საკითხებს და ერთმომენტიან ბილატერალურ ოპერაციებს აქტუალურს ხდის [9, 16].

## მასალა და მათოდები

1998-2012 წლებში პროფესორ ზ. ცხაკაიას სახელობის თორაკო-აბდომინური ქირურგიული კლინიკის თორაკალურ განყოფილებაში მეურნალობაზე იმყოფებოდა 42 ავადმყოფი ბულოზური დაავადგებებით, ასაკი მერყვეობდა 17-დან 64-წლამდე, აქედან ქალი იყო 7, კაცი – 35. 4 ავადმყოფის შემთხვევაში ადგილი პქნენდა ბულებს დიფუზური ემფიზემით, 20 ავადმყოფს აღნიშნებოდა გიგანტური ზომის ბულები 120 მმ-მდე, რომლებიც ძირითადად მდგბარეობდა ზემო წილებში. ყველა პაციენტს უზარდებოდა რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, 17 პაციენტს ჩაუტარდა გამასცინტიგრაფია ფილტვების Te 99 მ, ჩატარდა ფილტვის გარევანი სუნთქვის ფუნქციის კვლევა. პაციენტის კლინიკიდან გაწერის 1 და 6 თვის შემდეგ ტარდებოდა საკონტროლო კვლევა. 21 ავადმყოფს ჩაუტარდა ორგანოშემნარჩუნებელი ბილატერალური ოპერაცია სტერნოტომიული მიღვომით, 9 შემთხვევაში – ბილატერალური ოპერაცია ორმხრივი მინიოთორაკოტომიით ვიდეოასისტირებით. 10 შემთხვევაში ერთ მხარეს მინიოთორაკოტომია შერწყმული იყო თორაკოსკოპიულ ჩარევასთან კონტრალატერალურ მხარეს. ორგანოშემნარჩუნებელი ოპერაცია შერწყმული იყო პლევროდეზთან, რომელიც ხორციელდებოდა ელექტროკორაგულატორით ნეკნაშორის კოსტალური პლევრის გაცვეთით. ქირურგიული მიღვომის არჩევანი დამოკიდებულია ბულის ზომაზე. დიდი ზომის ბულების დროს (100 მმ-ზე მეტი) ოპერაცია ტარდება სტერნოტომიის საშუალებით, უფრო მცირე ზომის ბულების სიმეტრიულად განალაგების შემთხვევაში კეთდება ბილატერალური მინიოთორაკოტომია ვიდეოასისტირებით. ერთ ფილტვში პატარა ზომის, ხოლო მეორეში შედარებით მომცრო ზომის ბულების შემთხვევაში (10 მმ) ბილატერალური

მინითორაკოტომია ერთ მხარეს შერწყმულია კონტრალატერალურ მხარეს თორაკოსკოპიასთან. ფილტვი შეხორცებებისგან გამოიყოფოდა ენდოსეკოპიური ინსტრუმენტების საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად აიოლებდა ოპერაციის მსვლელობას და ასევე ამცირებდა ოპერაციის დროს. დიდი ზომის ბულები ფართო ფეხსე იგვეთებოდა Nisse-Naclerio-Langer-ის მეთოდით [2, 7]. ბულები ვიწრო ფეხით იგვანძებოდა ფუძეზე და იკვეთებოდა, რის შედეგად ფუძე იკერტებოდა II-ს მაგვარი ნაკერით. ოპერაციები სრულდებოდა პლევრის ღრუს დრენირებით ორ-ორი დრენაჟით თითოეულ მხარეს. ოპერაციის შედეგად პლევრალური დრენაჟები ერთდებოდნენ აქტიურ ასპირატორზე, რეამით: 12-12 სმ ვერცხ. წყ. სკ. პაციენტებზე, რომელთაც აღენიშნებოდა ემფიზემის შერეული ფორმა, ბულების ამოკეთის გარდა ჩაუტარდა ფილტვის მოცულობის შემცირების ოპერაცია.

## შედეგები და გათი გაცემვა

12 შემთხვევაში სტერნოტომიული მიდგომა დაკავშირებული იყო ტექნიკურ სირთულეებთან, რაც განპირობებული იყო მასიური შეხორცებით პლევრის ღრუში, გამოწვეული სპონგანური პნევმოთორაქსით. 7 შემთხვევაში შეხორცებითი პნევმოთორაქსი ატარებდა ორმხრივ ხასიათს. ფილტვის ქსოვილის ნაკერის სრული პერმეტიზმი 42 შემთხვევიდან მიღწეული იყო მხოლოდ 22-ში. დანარჩენ 20 პაციენტს ფილტვის არაპერმეტულობა შეუნარჩუნდა 6-12 დღის განმავლობაში. 5 პაციენტში პერმეტატიურ-პერმეტული ღრუბელის გამოყენებით მიღწეულ იქნა ფილტვის სრული პოსტროპერაციული პერმეტიზმი, ოპერაციის შემდეგ ფილტვის გაშლა ყველა პაციენტში. ლეტალობა არ დაფიქსირდა.

1687 წელს Bartolin-მა პირველად აღნიშნა ფილტვების საპარერო ბუშტების არსებობა, ხოლო 100 წლის შემდეგ Laennec-მა დაწვრილებით განიხილა ეს პრობლემა და გამოიყენა ტერმინი “ბულოზური ემფიზემა” [17]. დღეისთვის პათოლოგიის ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანი უთანხმოებანი არსებობს [3]. ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორების მოსაზრებას, რომლებიც ბულოზურ ემფიზემას გამოყოფენ, როგორც დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ არის დაკავშირებული დიფუზურ ემფიზემასთან [2, 15].

დისკუსიის თემად რჩება ქირურგიული ჩარევის ჩვენებები. ოპერაციის ჩვენებაა დიდი ბულების არსებობა, რომლებიც იწვევს ფილტვის ქსოვილის კომპრესიას, გულმძერდის შიდა დაჭიმულობა და ანამნეზში სპონგანური პნევმოთორაქსის არსებობა ასევე ოპერაციის ჩვენებაა. ჩვენ ვეთანხმებით იმ ავტორების აზრს, რომლებიც მიზანშეწონილად თვლიან ბულების ამოკეთას ანამნეზში პნევმოთორაქსის არარსებობის შემთხვევაში, ვინაიდან ყველაზე ეველებური კონსერვაციული მკურნალობის შემთხვევაშიც კი პნევმოთორაქსის განვითარების ალბათობა 50%-ს აღემატება [9, 11] მაშინ, როდესაც ოპერაციის სწორი ჩატარების შემთხვევაში, პლევროდეზის ჩათვლით, რეციდივი პრაქტიკულად არ აღინიშნება. ორმხრივი ბულოზური ემფიზემების დროს, დღევანდელ დღეს უპირატესობა ენიჭება

ერთმომენტიან ბილატერალურ ოპერაციებს. ორივე ფილტვში დღიდ ბულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სტერნოტომიას, ხოლო საშუალო და პატარა ზომის ბულების არსებობის შემთხვევაში ვიყენებდით მინიორაკოტომიას ვიდეოასისტირებით, თორაკოსკოპიებს, ასევე მინიორაკოტომიას ერთ და თორაკოსკოპიას მეორე მხარეს. ამ ტიპის ოპერაციები ხასიათდება ნაკლები ტრავმატულობით და ასევე სუნთქვის ფუნქციის დარღვევის ნაკლებობით. ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ბულოზური ემფიზემების დროს ტარდებოდა ჯერ კიდვე გასული საუკუნის 50-იან წლებში.

ბულოზური დაგადახებების დროს ოპტიმალურ მეთოდად ითვლება უფუნქციო, პატრიო გადაბერილი ფილტვის ნაწილის მოშორება, რაც განაპირობებს ფილტვის ჯანმრთელი ნაწილის დეკომპრესიას. ფილტვის რეზექცია, რომელიც დღემდე ტარდება ქირურგების მიერ, იძლევა არასასურველ შედეგს, რადგან იკვეთება ფილტვის ის ნაწილი, რომელსაც შეუძლია გამლა და უფუნქციობა [6, 18].

4 შემთხვევაში შეგხვდა დიფუზურ ემფიზემასთან შეუღლებული წვრილი ბულები. ბულები ძირითადად განლაგებული იყვნენ ზედა წილებში. ოპერაცია შესრულდა ბულების კოგულაციით და ფილტვების 25%-ის რედუქციით ორივე მხარეს. ოპერაცია დასრულდა პლევროდეზით. ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ ფილტვების ფუნქციური და რენტგენოლოგიური ცვლილებები მკვეთრად შემცირდა. პლევრის ადჟეზია, რომელიც გამოწვეულია ოპერაციით, ხელს უწყობს ფილტვის სისხლით მომარაგებას კოლატერალების მეშვეობით გულმკერდის მხრიდან, ამასთან ერთდე რეციდივის ალბათობას მკვეთრად ამცირებს.

ამრიგად, ჩვენი მონაცემებით, ერთმომენტიანი ბილატერალური ოპერაციები ბულოზური ემფიზემების დროს მოცემული პათოლოგიის პერსპექტიული მკურნალობის მეთოდია. როგორც მოცემული მასალებიდან ჩანს, მკურნალობის სწორად არჩეული მეთოდების და ტაქტიკის შემთხვევაში შედეგი დამაიმედებელია. თუმცა, მცირე ზომის ბულებთან შერწყმული დიფუზური ემფიზემის ქირურგიული მკურნალობა წარმოადგენს დისკუსიის თემას. ჩვენ ამ მასალებზე დაყრდნობით არ შეგვიძლია საბოლოო დასკვნების გამოტანა და საჭიროა შემდგომი შესწავლა.

## ლიტერატურა

1. ქაცარავა კ.შ., გობეგია კ.ნ., ჩინჩალაძე ა.ა. და სხვ. ქირურგია, 2001, 1-2, 12-14.
2. ქაცარავა კ.შ., გობეგია კ.ნ., ჩინჩალაძე ა.ა. თერმოპოაგულაციის გამოყენება თორაკოსკოპიული მეთოდებით სპონტანური პექმოთორაქსის შემთხვევაში. აკადემიკოს ეგნატე ფიფას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, 2001, 35-36.
3. Андрущенко Е.В. Эмфизема легких. В кн.: Болезни органов дыхания. Киев, 1986.
4. Астафуров В.Н. Диагностика и лечение неспецифического спонтанного пневмоторакса при буллезной эмфиземе легких. Автореф. дис....канд.мед.наук, Омск, 1980.
5. Зильбер А.П. Дыхательная недостаточность. Руководство для врачей. М., 1989.

6. Ингрем Р.Г. (мл.). Хронический бронхит, эмфизема легких и бронхообструктивный синдром. Внутренние болезни. Пер. с англ. /под ред. Е. Браунвальда и др.), кн. 6, М., 1995, 93-111.
7. Кацарава В.Ш., Гобечия К.Н., Чинчаладзе А.А. и др. Хирургическое лечение кистозных образований легкого методом миниторакотомии с видеоподдержкой. Материалы 12-ой Международной научно-практической конференции хирургов Закавказских государств, 1999, 74.
8. Кацарава В.Ш., Гобечия К.Н., Гобечия Р.Д. GMN, 2001, № 7-8 (76-77), 10-13.
9. Кацарава В.Ш., Гобечия К.Н., Чинчаладзе А.А. и др. GMN, 2001, #6. 28-30.
10. Кацарава В.Ш., Гобечия К.Н., Чинчаладзе А.А. и др. GMN, 2001, #7-8, 1-12.
11. Кацарава В.Ш., Гобечия К.Н., Чинчаладзе А.А. и др. GMN, 2002, #2, 26-29.
12. Нечавеев В.И., Сорокин Ю.К., Петрухин И.С. О некоторых новых подходах к диагностике эмфиземы легких. 5 Национальный конгресс по болезням органов дыхания. М., 1995, №511.
13. Николадзе Г.Д. Буллезная эмфизема легких. Хирургические аспекты. Научный обзор. Под ред. А.А. Вишневского. Медицина и здравоохранение, серия: Хирургия. Обзорная информация, М., 1987, вып. 1.
14. Палеев Н.Р., Ильченко В.А. Хронический бронхит. Болезни органов дыхания. Под ред. Н.Р. Палеева. М., 1900, 110-180.
15. Смоляр В.А. Грудная хирургия, 1973, №6, 68-76.
16. Смоляр В.А., Стручков Ю.В. Грудная хирургия, 1976, №1, 51-55.
17. Anand J.S., Chandrashekhar Y., Ferrani R., Sarma S. et al. Circulation, 1992, 86, 12-21.
18. Brochard L., Mancebo J., Wysocki M. et al. N. Engl. J. Med., 1995, 333, 199-204.
19. Cendon S.P., Battlehner C., Lorenzi Filho G. et al. Braz. J. Med. Biol. Res., 1997, 30, N10, 1241-1247.
20. Cockroft A. Brit. J. Dis. Chest, 1988, 82, N3, 313-360.
21. Gevenois P.A., Yernault J.S., Zanen J. et al. Quantitative assessment of pulmonary emphysema by computed tomography. 8th European Congress of Radiology, 1993, p. 185.
22. Hoidal J.R., Niewoechner D.E. Chest, 1983, 83, N4, 679-685.
23. Koietzko N. Fortschr. Med., 1998, 116, N14, 20-22, 24-26.
24. Reid L.M. Chronic obstructive pulmonary diseases. Pulmonary Diseases and Disorders / Ed. A.P. Fishman), New York: McGraw-Hill, 1988, 1247-1272.

## БИЛАТЕРАЛЬНОЕ ОДНОМОМЕНТНОЕ ХИРУРГИЧЕСКОЕ ЛЕЧЕНИЕ БУЛЛЁЗНОЙ ЭМФИЗЕМЫ ЛЕГКИХ

**В. Кацарава, Л. Мачарашвили, Л. Кацарава, Р. Гобечия, Б. Ониани**

“Амтель Госпиталь Первая Клиническая”, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

С 1998 по 2004 годы в отделение торакальной хирургии торако-абдоминальной клиники им. акад. З. Цхакая по поводу двусторонней буллезной эмфиземы легких на лечение находились 42 больных. Из них женщин было 7, а мужчин – 35. Возраст больных варьировал от 17 до 64 лет. В 4-х случаях имела место диффузная эмфизема легких, у 20 больных отмечались гигантских размеров буллы от 120 до 150 мм, которые, в основном,

локализовались на верхних долях. Всем больным проводилось полное рентгенологическое обследование, включая и компьютерную томографию, а также обследование функций внешнего дыхания легких. 21 больным произведена одномоментная органосберегающая билатеральная операция стернотомическим доступом. В 9 случаях билатеральная операция произведена миниторакотомически с видеоподдержкой. Односторонняя миниторакотомия в сочетании с торакоскопией на контрлатеральном легком произведена в 10 случаях. Осложнения и летальность не отмечались.

## BILATERAL SURGICAL TREATMENT OF THE BULLOSE EMPHYSEMA OF THE LUNGS

*V. Katsarava, L. Macharashvili, L. Katsarava, R. Gobechia, B. Oniani*

“Amtel Hospital First Clinical” LLC, Tbilisi

### SUMMARY

32 patients with bilateral lung bullose emphysema have been treated at Prof. Z. Tskhakaia Thoracoabdominal clinic from 1998 to 2004, among them 7 females and 35 males, their age varied from 17 to 64 years. In 4 cases diffused emphysema was observed, 20 patients were presented with gigantic bullas varied in size from 120 to 150 mm with most of them located in upper lobes. All the patients underwent preoperative full range radiology study including CT-scan, an additional gamascintigraphy was utilized in 17 cases. 21 patients underwent lung preserving bilateral resection through transsternal approach. In 9 cases surgery was performed by bilateral video assisted mini thoracotomy route. In 10 cases bilateral operation was performed by thoracotomy on one side and thoracoscopy – on another. In this series neither morbidity nor mortality were observed.

## საშუალო ეფექტური გაღი (ET50) დერმატოლოგიური

### პრეპარატების პილოტურ პლინიკურ გამოკვლევაში

**თ. ქიტუაშვილი, გ. გელეგანიშვილი, ნ. არჩევაძე, ნ. გოგიტიძე**

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი;

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 02.07.2012

ნაშრომში შეფასებულია ახალი დერმატოლოგიური პრეპარატის “ლაზოლექს®” – გელის პირველადი კლინიკური გამოკვლევის (ფაზა II) შედეგები ობიექტური ნიშნებისა და სუბიექტური ჩივილების გაქრობის მიხედვით 3 ნოზოლოგიურ ჯაუფში. ეკრძოდ, კანის ვირუსული, სოკოვანი და/ან ბაქტერიული ინფექციის შემთხვევებში. ლაზოლექს-გელის კლინიკური ეფექტურობა ისევე, როგორც მეურნალობის ობიექტური ვაღები აქამდე დადგნენილი არ ყოფილა. პირველადი (პილოტური) კლინიკური დასკრების შეფასებაში გამოყენებული იყო “საშუალო-ეფექტური ვაღების” სტატისტიკური კრიტერიუმი (ET50). კანის სხვადასხვა ინფექციებით დაავადებულთა 9 ჯგუფში ამ კრიტერიუმით დადგენილია ვაღები, რომელიც საჭიროა, ერთი მხრივ, ავადმყოფთა დაახლოებით ნახევარში და, მეორე მხრივ, ავადმყოფთა უმრავლესობაშიც (ET84). სამკურნალო ეფექტის მისაღწევად; ერთდროულად, ეფექტური ვაღების თეორიული ხანგრძლივობაცაა განსაზღვრული წრფივ რეგრესულ ანალიზზე დაყრდნობით. სტატისტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (“Biostat 2008”) და ამ პროგრამის დახმარებით ET50 გაანგარიშების პრინციპიცაა წარმოდგენილი. საშუალოეფექტური ვაღების დადგენა მისანაშეწონილია როგორც ახალი პრეპარატების პირველად, პილოტურ გამოკვლევაში, ასევე შედარებითი ეფექტურობის გამოკვლევაშიც “ეტალონური” და “პლაცებო” ჯგუფების შეთოვდით.

საკვანძო სიტყვები: დერმატოლოგიური საშუალება, პილოტური გამოკვლევა, სტატისტიკური ანალიზი, ET50 კრიტერიუმი

ახალი დერმატოლოგიური პრეპარატების პირველადი ანუ “პილოტური” კლინიკური გამოკვლევა (კლინიკური გამოცდის ფაზა II) რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა ეფექტურობის დადგენა მრავალჯერადი გამოყენების პირობებში, მით უმეტეს, როდესაც თერაპიული

კურსების ოპტიმალური ვადა სხვადასხვა ნოზოლოგიურ ჯგუფებში ჯერ კიდევ არაა ცნობილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მკურნალობის ინდიკირულური შედეგები და განკურნების მისაღწევად საჭირო ვადები კონკრეტულ ნოზოლოგიურ ჯგუფში უდაგოდ განსხვავებული გვექნება და მეტ-ნაკლებად გაძნეული ვარიაციული რიგით იქნება წარმოდგენილი, მაშინ პრეპარატის ეფექტურობა მკურნალობის საშუალო ეფექტური ვადის სტატისტიკური კრიტერიუმითაც შეიძლება იქნეს დადგენილი. საშუალო ეფექტური ვადების (ET50, median effective time) სტატისტიკური გაანგარიშების პრინციპი პრობიტ-ანალიზის გამოყენებით ჯერ კიდევ 75 წლის წინ იქნა დამუშავებული: ამ შემთხვევაში დროის აბსოლუტური მაჩვენებლის ნაცვლად მისი ლოგარითმია აღებული, ხოლო ინდივიდუმთა პროცენტის ნაცვლად (რომლებშიც ეფექტი გამოვლინდა) – შესაბამისი პრობიტები; გრაფიკულად პრობიტები Y ღერძზე ლაგდება, ვადების ლოგარითმი  $\text{y} = -X \cdot \ln(\text{r}) + C$  [1]. ამგარი მიღვომით ის ვადა იქნება განსაზღვრული, რომელიც საჭიროა ავადმყოფთა 50%-ში სამკურნალო ეფექტის მისაღწევად და, შესაბამისად, ეფექტური ვადის თეორიული მნიშვნელობაც იქნება სტატისტიკურად გაანგარიშებული [2]. ანალოგიური მიღვომითა დადგენილი საერთოდ ლეტალური (ეფექტური) ვადები და საშუალო სტატისტიკური ვადა, რომელშიც ინდივიდების 50%-ის კვდომაა მოსალოდნელი (LT50) [3]. ამჟამად გავრცელებულ კომპიუტერულ პაკეტებში ჩვეულებრივად საშუალო ლეტალური დოზების (LD50) სტატისტიკური გაანგარიშების პროგრამებია შექანილი პრობიტ-ანალიზის გამოყენებით. ამ პროგრამების მეშვეობით ადგილია საშუალო ეფექტური ვადის გაანგარიშებაც (ET50), თუ ლეტალური დოზების ნაცვლად, როგორც აღვნიშნეთ, სიმპტომის არსებობის/არარსებობის ვადები იქნა აღებული.

წინამდებარე გამოკვლევაში საშუალო ეფექტური ვადების კრიტერიუმით (ET50) შეფასებულ იქნა „ლაზოლექს“-გელის ეფექტურობა რიგი დერმატოლოგიური დაავადების მკურნალობაში. ლაზოლექს-გელი ახალი, ადგილობრივი დანიშნულების პრეპარატია, რომელიც ფარმაცევტულმა ფირმამ “ივერია-ფარმატ“ გამოიუშვა; პრეპარატში მთავარი მოქმედი კომპონენტია კალის მწვანე ნაყოფსაფარის (პერიკარპიუმის) ექსტრაქტი. ლაზოლექს-გელის სხვადასხვა ნიმუშებში ექსტრაქტის კონცენტრაცია 5% ან 10%-ის (გ/გ) ტოლია. პირველადი (პილოტური) კლინიკური გამოკვლევა შესრულდა კანისა და ვენსენეულებათა სამუნიკირო-კლევით ინსტრიტუტში.

## შასალა და მათოდები

ავადმყოფის გასინჯვის სხვადასხვა ვადებზე (დღეებზე) მხედველობაში იქნა მიღებული დამახასიათებელი ნოზოლოგიური სიმპტომის არსებობა. დაავადების მთავარ ობიექტურ ნიშნებად გამონაყარი და ექსუდაცია მიუნიჩეთ, ანთების ნიშნებად – პიპერემია და შეშუპება, ხოლო სუბიექტური ჩივილები – ქავილი, წვა, ტკივილი დისკომფორტის ცნებაში გავაერთიანეთ. საშუალო ეფექტური ვადების მნიშვნელობა ამ სამივე ნიშის (ობიექტური სიმპტომის, ანთების სიძლიერისა და დისკომფორტის) მიხედ-

ვით ცალ-ცალქე იქნა გაანგარიშებული. დიაგნოზის შესაბამისად გენილ 15-კაციან ნოზოლოგიურ ჯგუფებში შეყვანილი იყო 18-65 წლამდე ასაკის ორივე სქესის ავადმყოფი.

სტატისტიკური ანალიზისთვის ვისარგებლეთ ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემების დასამუშავებლად შედგენილი კომპიუტერული პროგრამების პაკეტით ”ბიოსტატი“ (Biostat & Medicine Oriented Statistical Software “Biostat 2008”); LD50 გაანგარიშების პროგრამით წარმოდგენილ ელექტრონულ ტაბულებში შეგვერნდა კლინიკური (ემპირიული) მონაცემები – გასინჯვის „ვადა“ დღეებში სიკვდილიანობის ვადების მაგივრად და სიმპტომატური ავადმყოფების რაოდენობა ჯგუფში – „ეფექტი“ გადარჩნილი ინდივიდების ნაცვლად.


## შედეგები და განხილვა

კანის დაავადებათა განკურნების საშუალო ვადები ფართოდაა გამოყენებული დერმატოლოგიური პრეპარატების შედარებითი ეფექტურობის შესწავლაში [4, 5], მით უმეტეს, თუ პრეპარატის ჯამური დოზა მკურნალობის ხანგრძლივობასთან უშუალო კავშირში განიხილება. ამ შემთხვევაში ცნებები “მკურნალობის ვადები”, გამოყენებული ”დოზის ვადები“ და, ზოგადად, ”დოზა“ ერთი და იგივე მნიშვნელობითაა ნახმარი [6]. წინამდებარე გამოკვლევის ამოცანა კი ერთი და იმავე პრეპარატის ეფექტურობის დადგენა იყო სხვადასხვა ნოზოლოგიურ ჯგუფში. შესაბამისად, სტატისტიკური ანალიზით გათვალისწინებული იყო დაავადების ობიექტურ და სუბიექტურ გამოვლინებათა ხანგრძლივობის, ე.ი. სიმპტომების არსებობის/არარსებობის დადგენა კონკრეტულ ვადებზე ადგილობრივი მკურნალობის პროცესში. ამიტომ, დამოკიდებულ ცვლად სიდიდეედ სიმპტომის არსებობა, ხოლო გასინჯვის დღეები – დამოუკიდებელ ცვლად სიდიდეედ იყო მიჩნეული. ვადების ამგვარი დინამიკური რიგები შეიძლება რეგრესიულ რიგებზეც იქნეს დაყვანილი [2]. ამ წესით აგებულ გრაფიკზე მკურნალობის ეფექტურობა ერთდროულად ემპირიული მრუდის საშუალებითა და პრობიტანალიზის საფუძველზე გაანგარიშებული რეგრესიული წრფითაა გამოსახული და, შესაბამისად, მკურნალობის კლინიკურად (ემპირიულად) დადგენილი ეფექტური ვადები და ეფექტური ვადების თეორიული ხანგრძლივობაც იქნება წარმოდგენილი (სურ. 1).

ამგვარად, საშუალო ეფექტური ვადით ასახული იქნება სამკურნალო „ეფექტის“ (ფუნქციის) დამოკიდებულება მკურნალობის „ვადებზე“ (არგუმენტზე) მოცემული დოზის (კონცენტრაციის) განმეორებითი გამოყენების პირობებში. ცხადია, რომ ეფექტური ვადების განსაზღვრაში საკუთრივ სამკურნალო ას ფარმაკოლოგიური ეფექტი ალტერნატიული ფორმით უნდა ყოფილიყო ადრიკცხული, ე.ი. წვენს შემთხვევაში – სიმპტომების მქონე ინდივიდუალების რაოდენობა ყოველი მომდევნო გასინჯვის ვადაზე კონკრეტულ ნოზოლოგიურ ჯგუფში.

საშუალო ეფექტური ვადის გასაანგარიშებლად 50 გათვლის პროგრამაში ერთი ფორმალური ცვლილება შევიტანეთ – თუ 50 გათვლა

უმცირესი მაჩვენებლით იწყება, ე.ი. ცდის დასაწყისში მინიმალური ლერალური შედეგია აღრიცხული, ჩვენს შემთხვევაში კოორდინატთა სისტემის სათავეში 100%-ანი მაჩვენებელია განლაგებული.



სურ. 1. საზარდულისა და სადა კანის დერმატოფიტოზი. პრობიტ-ნალიზის შედეგები (ზემოთ) და დისკომფორტის მქონე ავადმყოფთა რაოდენობის შემცირება (გრაფიკი): წყვეტილი წრფე – თვორიული და ტეხილი – ემპირიული მაჩვენებლები

ეს ნიშნავს, რომ მკურნალობის დასაწყისში დაავადების სიმპტომები ყველა ავადმყოფში აშკარად იყო გამოხატული. ამიტომ, LD50 (ან LT50) გაანგარიშების პირობებით გრაფიკულად, დოზების ან ვადების შესაბამისად, ჯგუფიდან გამორიცხული ინდივიდების % ანუ ეფექტის მატება გამოისახება; ET50 გაანგარიშების აქ მოყვანილი პირობებით კი, პირიქით, სიმპტომების მქონე ავადმყოფების რაოდენობის შემცირება (%-ში) იქნება გამოხატული. მკურნალობის ეფექტის ამგარი გრაფიკული გამოხატვა დაავადებულთა კლების მიხედვით უფრო დემონსტრატიულია. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ცვლილების გამო ზოგიერთმა მაჩვენებელმა შებრუნებული ხასიათი მიიღო; მაგალითად, საიმედობის ზედა ზღვარი (UCL – Upper confidence limit) ქვედა ზღვრად (LCL – Lower CL) გადაიქცა და, პირიქით. ანალოგიურად, 84%-ანი მაჩვენებელი (ET84) გადაიქცა 16%-ად (ET16) და ა.შ., თუმცა მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობა არ შეცვლილა. ანალოგიურად დადგინდა საშუალო ეფექტური ვადები ანთების ნიშნებისა და დისკომფორტის სუბიექტური შეგრძნებისთვისაც.

საბოლოოდ, 9 ხასის დერმატოლოგიური ინფექციისთვის ალბათობის  $p = 0.05$  დონეზე საშუალო ეფექტური ვადების მნიშვნელობა ET50, აგრეთვე ET50-ის საშუალო სტანდარტული ცდომილება და ET50 საიმედობის ზღვრები იქნა გათვლილი. კონკრეტულ ნოზოლოგიურ ჯგუფებში ამ პარამეტრების გამოყენებით “ლაზოლექს®-გელის” ეფექტურობა, როგორც აღ-

ვნიშნეთ, სუბიექტური და ობიექტური სიმპტომების არსებობის მიხედვით შეფასდა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საშუალო ეფექტური ვაღები (დღეები)\* და საიმედობის ქვედა და ზედა ზღვრები\*\* დაზოლებების-გელით მკურნალობის პირობებში

ET50	8.0210088	ET84	14.39498571
Standard Error ET50	-1.3909158	ET16	1.647031921
ET50 UCL	10.83002	Significance Level	0.05
ET50 LCL	5.2119974		
Median Effective Time		ET50 = $8.02 \pm 1.39$ days	
Confidence Limits		CL = $5.21 \div 10.83$ days	

თუ ცხრილში მოყვანილი სტატისტიკური ანალიზის შედეგებს საზარდელისა და სადა კანის დერმატოფიტოზით დაავადებულთა მაგალითზე განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ საშუალო ეფექტური ვადის მიხედვით გამონაყარის ელიმინაცია ავადმყოფთა 50%-ში დაახლოებით 10 დღეშია მოსალოდნელი, საიმედობის ზედა და ქვედა ზღვრების გათვალისწინებით კი სიმპტომების გაქრობა დაახლოებით მე-6 დღიდან დაიწყება, ხოლო მე-14 დღეს გამონაყარი ავადმყოფთა ნახევარს აღარ ექნება; ავადმყოფების უმრავლესობა დაავადების ობიექტური ნიშნებისგან დაახლოებით მე-17 დღისთვის განთავისუფლდება (ET84). ანთების გაქრობა მე-10-დან მე-17 დღემდე მოსალოდნელი ავადმყოფების 50%-ში, ხოლო უმრავლესობაში ანთების ნიშნები მკურნალობის მე-21 დღეზე აღარ იქნება (ET84). დისკომფორტის გაქრობა მოსალოდნელია მკურნალობის მე-6 დღიდან, ხოლო მე-11 დღისთვის სუბიექტური ჩივილი ავადმყოფთა 50%-ს საერთოდ აღარ ექნება; ავადმყოფების უმრავლესობაში (ET84) დისკომფორტის შეგრძნება პრაქტიკულად მკურნალობის მე-14-15 დღეზე გაქრება.

ამგვარად, ET50 გაანგარიშება საშუალებას იძლევა დადგინდეს ადგილობრივი დერმატოლოგიური პრეპარატის რეალური ეფექტურობა ცალკეულ ნოზოლოგიურ ჯგუფებში და, აგრეთვე, ერთდროულად ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მოსალოდნელი გაქრობის ვაღებიც იქნეს ნაგარაუდევი. ცხადია, რომ ამავე მიღგომით პრეპარატის ოპტიმალური დოზების (კონცენტრაციის) განსაზღვრაცაა შესაძლებელი. გარდა ამისა, კლინიკური გამოკვლევის შესაბამის ეტაპებზე მნელი არ იქნება პრეპარატის ეფექტურობის დაგენერაც ავადმყოფების “ეტალონურ” და “პლაცებო” ჯგუფებთან შედარებით.

## ლიტერატურა

- Беленький М.Л. Элементы количественной оценки фармакологического эффекта. Мед. Лит. Ленинград, 1963, 117-131.

2. Лакин Г.Ф. Биометрия. Высшая Школа, Москва, 1990, 351 с.

3. Eaton D.L., Gilbert S.G. Principles of Toxicology; in Casarett and Doull's Toxicol. Klaassen C.D ed., Mc Grow Hill, 2008, 26

4. Palacio A., Garau M., Gonszalez-Escalada A. Revista Iberoamericana de Micología, Bilbao, 2000, 148-158.

5. Repiso Montero T., Lopez S., Rodrigues C., del Rio R., Badell A., Gratacos M.R. Int. J. Dermatol., 2006, 45(5): 600-604.

6. Siongh G.J.P., Adams W.P., Lesko L.G., Shah V.P., Molzon A., Williams R.L., Pershing L.K. Clinical Pharmacology and Therapeutics, 1999, 66, 346-357.

## **СРЕДНЕЭФФЕКТИВНОЕ ВРЕМЯ (ET50) В ОЦЕНКЕ РЕЗУЛЬТАТОВ ПИЛОТНЫХ КЛИНИЧЕСКИХ ИСПЫТАНИЙ ДЕРМАТОЛОГИЧЕСКИХ СРЕДСТВ**

*Т. Китуашвили, М. Гедеванишвили, Н. Арчвадзе, Н. Гогитидзе*

Научно-исследовательский Институт дерматовенерологии; Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили; Институт фармакохимии им. И. Кутателадзе, Тбилиси; Тбилисская медицинская Академия им. П. Шоталзе

## РЕЗЮМЕ

Результаты пилотных клинических испытаний геля Лазолекс® – нового препарата, клиническая эффективность, равно как и продолжительность курсов лечения определены впервые и оцениваются на основании показателей времени исчезновения характерных объективных симптомов и субъективных жалоб в 3-х нозологических группах кожных инфекций: вирусных, грибковых и бактериальных. Для оценки лечебных свойств препарата был использован критерий среднеэффективного времени (ET50). Вычисление значений ET50 в 9 группах больных с кожными инфекциями позволило определить усредненные показатели длительности лечения, а также продолжительность лечения для большинства больных (ET84). Одновременно были получены теоретические значения продолжительности лечения в каждой нозологической группе на основании анализа линейной регрессии. Статистические расчеты произведены автоматически при помощи компьютеризированной программы "Biostat 2008" и, соответственно, приведены принципы расчета ET50 при помощи данной программы. Оценка результатов пилотных (предварительных) клинических испытаний по критерию ET50 приемлема также в целях сравнительного изучения эффективности препаратов методом "плацебо" и/или "группы сравнения".

## MEDIAN EFFECTIVE TIME (ET50) IN THE PILOT CLINICAL EVALUATION OF TOPICAL DRUG EFFICACY

*T. Kituashvili, M. Gedevanishvili, N. Archvadze, N. Gogitidze*

Scientific-Research Institute of Dermatovenerology; Iv. Javakhishvili Tbilisi State University;  
I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry; Tbilisi; P. Shotadze Tbilisi medical Academy

### SUMMARY

Results of pilot clinical investigation (Phase II) of new dermatologic gel “Lazolex®” of unknown clinical efficacy, and also of undefined treatment duration were evaluated according to the time of elimination of pathognomonic symptoms and subjective complaints in 3 nosological groups of skin infection: viral, fungal and bacterial. The Median Effective Time (ET50) index was applied to assess curative properties of the drug under the investigation. By the calculation of ET50 values in 9 groups of patients with various skin infections average treatment duration, and concomitantly treatment duration for the majority of patients (ET84) were defined respectively, and theoretically deduced treatment duration in every nosological group was depicted based linear regression analysis. Statistical calculations were performed automatically using computerized program “Biostat 2008”. Respectively, the principles of ET50 calculation in this program are considered. Finally, we suggest that ET50 and ET84 criteria may be useful not only in the evaluation of pilot clinical data, but also in comparative estimation of treatment outcomes in “placebo” and/or “reference” groups of patients.

## მარცხენა და მარჯვენა პარეუზების სისტოლური, ღიასტოლური ფუნქციების და ფილტვის პროერიული ნაკადის მაჩვენებლების ცვლილებები გულის სისტოლური და ღიასტოლური უკმარისობის მეორე პაციენტები

**დ. წვერაძე (უმც.), მ. წვერაძე**

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა; პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 19.06.2012

წარმოდგენილი შრომის მიზანი იყო შეგვესწავლა გულის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის მაჩვენებლები გულის უქმარისობის (ბუ) მქონე პაციენტებში და დაგვეღგინა სადიაგნოზო კრიტერიუმები, რომლებიც გულის ძირითადი დაავადების ფონზე დროულად გამოავლენდა ბუს. შევისწავლეთ გულის უქმარისობის მქონე 289 ავდამყოფი, მათგან 225-ს პქონდა გულის სისტოლური – I ჯგ. 64-ს – დიასტოლური ბუ – II ჯგ და 143 – არტერიული პიერტენზიის მქონე ავადმყოფი გულის უქმარისობის გარეშე – III ჯგ. უველა გამოკვლეულს ჩატარდა ექოგბ და ქსოველოვან-დოპლეროგრაფული პკლევა, ამერიკისა და ევროპის ექოგ ასოციაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სისტოლური გულის უქმარისობის მქონე პაციენტებიდან 89.8% და დიასტოლური ბუს მქონე პაციენტებიდან 82.8%-ს, ფილტვის არტერიული ნაკადის აჩქარების დრო (Pulm AT) 100 მსეკ-ზე ნაკლები იყო. ამავე დროს, საკონტროლო ჯგუფში ავადმყოფთა მხოლოდ 11.9%-თან ეს მაჩვენებელი არ აღმატებოდა 99 მსეკ-ს. Pulm AT < 100 მსეკ მგრძნობელობა და სპეციფიკურობა გულის სისტოლური უქმარისობის დიაგნოსტიკაში 0.90 და 0.82 იყო, ხოლო გულის დიასტოლური უქმარისობის დიაგნოსტიკაში – 0.88 და 0.82, შესაბამისად.

კლევამ გამოავლინა ექოკარდიოგრაფულად განსაზღვრული ფილტვის აჩქარების (Pulm AT) დროს მაღალი დიაგნოსტიკური დირებულება ბუს და საკუთრივ დიასტოლური ბუს დიაგნოსტიკაში. მაჩვენებელი Pulm AT < 100 მსეკ შეიძლება რეკომენდირებული იყოს, როგორც გულის დიასტოლური უქმარისობის სადიაგნოზო კრიტერიუმი.

**საკანძო სიტყვები:** გულის უქმარისობა, სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის ცვლილება, მარჯვენა და მარცხენა პარკუტების სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის ცვლილებები

გულის უკმარისობა თანამედროვე კარდიოლოგიის უმნიშვნელოვანების პრობლემას წარმოადგენს. დღეისთვის 5 მილიონამდე ამერიკული და 10 მილიონი ევროპელი ამ სენიორა შეყვრბილი [4, 7]. პოსპიტალშიდა სიკვდილობა გულის უკმარისობის დროს 4-8%-ია, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ 3 თვის განმავლობაში სიკვდილობა 8-15%-ს აღწევს [1, 5]. გამოვლენის შემდეგ ბუ ჩვეულებრივ პროგრესირებს და არასახარძილო ცხოვრების ხარისხით და პროგნოზით ხასიათდება [4].

ექოკარდიოგრაფია ბუ-ს დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტული მეთოდია, რომელიც ფართოდ გამოიყენება დღევანდელ მედიცინაში.

შრომის მიზანი იყო შეგვესწავლა გულის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის მაჩვენებლები ბუ-ს მქონე პაციენტებში და დაგვეღინა ის სადიაგნოზი კრიტერიუმები, რომლებიც გულის ძირითადი დაავადების ფონზე დროულად გამოავლენდა ბუ-ს.

## მასალა და მეთოდები

შევისწავლეთ გულის უკმარისობის მქონე 289 ავდამყოფი, მათგან 225-ს ჰქონდა გულის სისტოლური უკმარისობა – I ჯგუფი (საშუალო ასაკი –  $63.1 \pm 11.2$  წელი; მამაკაცი – 155, ქალი – 70), 64-ს გულის უკმარისობა შენარჩუნებული სისტოლური ფუნქციით – II ჯგუფი (საშუალო ასაკი  $65.1 \pm 11.2$  წელი; მამაკაცი – 23, ქალი – 41) და 143 არტერიული ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფი გულის უკმარისობის გარეშე (საშუალო ასაკი –  $63.2 \pm 10.9$ , მამაკაცი – 87, ქალი – 59) – III ჯგუფი (საკონტროლო). ყველა შესწავლით პირთან გულის რიტმი სინუსური იყო. გულის უკმარისობის დიაგნოზი დგინდებოდა ფრემინგების კრიტერიუმების საფუძველზე [5].

ამერიკისა და ევროპის ექოკარდიოგრაფისტთა ასოციაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ყველა გამოკვლეულ პირს ჩაუტარდა ექოკარდიოგრაფული და დოპლეროგრაფული კვლევა. ქსოვილოვან დოპლეროგრამას ვიღებდით გულის აპიკალური პოზიციიდან იმპულსურ რეჟიმში, საკონტროლო მოცულობას ვათავსებდით ატრიოვენტრიკულური რგოლის დონეზე მარცხენა პარკუჭის ლატერალური კედლიდან, პარკუჭთაშუა ძგიდიდან და მარჯვენა პარკუჭის ლატერალური კედლიდან. ექოკარდიოგრამაზე გზომავდით მარცხენა წინაგულის დიამეტრს სისტოლაში (LAm), მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის (PWmm) და პარკუჭთაშუა ძგიდის (IVSmm) სისქეს დიასტოლაში, მარცხენა პარკუჭის ლრუს დიამეტრს სისტოლასა და დიასტოლაში (LVDD, LVDs mm). მიღებული მონაცემებიდან ვითვლიდით მარცხენა პარკუჭის მასას (LVmass g), დიამეტრის სისტოლური შემოკლების პროცენტს (D%), განდევნის ფრაქციას (EF%). დოპლეროგრამაზე გზომავდით ფილტვის არტერიული ნაკადის აჩქარების დროს (PulAT sec), მარჯვენა პარკუჭის განდევნის დროს (RVET sec), მიტრალურ დოპლეროგრამაზე ადრეული დიასტოლური ნაკადის სის-

ქარეს (E sm/sec), მისი შენელების დროს (DT sec), გვიანი დიასტოლური ნაკადის სიჩქარეს (A sm/sec), ადრეული და გვიანი დიასტოლური ნაკადის სიჩქარეს (E/A), სამკარით დოპლეროგრამაზე – ადრეული დიასტოლური ნაკადის სიჩქარეს (E tr sm/sec), მისი შენელების დროს (DTtr sec), გვიანი დიასტოლური ნაკადის სიჩქარეს (Atr sm/sec), ადრეული და გვიანი დიასტოლური ნაკადების სიჩქარეების შეფარდებას (E/Atr). მარცხენა პარკუჭის ლატერალური კედლის, პარკუჭთაშუა ძგიდისა და მარჯვენა პარკუჭის კედლის ქსოვილოვან დოპლეროგრამაზე გზომავდით სისტოლური მოძრაობის (s, si, sr), ადრეული (e, ei, er) და გვიანი (a, ai, ar) დიასტოლური მოძრაობების მაქსიმალურ სიჩქარეებს (cm/sec), ადრეული და გვიანი დიასტოლური მოძრაობის სიჩქარეების შეფარდებას (e/a, ei/ai, er/ar). გარდა ამისა, მარჯვენა პარკუჭის ქსოვილოვან დოპლეროგრამაზე გზომავდით იზომეტრული შეკუმშვის მაქსიმალურ სიჩქარეს (sl).

მარცხენა პარკუჭის სისტოლურ ფუნქციას ვთვლიდით ნორმალურად, თუ განდევნის ფრაქცია 50% ან მეტი იყო. მარცხენა და მარჯვენა პარკუჭების დიასტოლურ ფუნქციას ვსაზღვრავდით ატრიოვენტრიკულური ნაკადის დოპლეროგრამის, ქსოვილოვანი დოპლეროგრამისა და ფერადი M-რეჟიმის მონაცემებზე დაყრდნობით. გულის დიასტოლური უკმარისობის დიაგნოზი დგინდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სინუსური რიტმის მქონე პირთან მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია ტოლი იყო ან აღემატებოდა 50%-ს და, ამავე დროს, აღინიშნებოდა მარცხენა პარკუჭის დიასტოლური დისფუნქციის ექოდოპლეროგრაფული ნიშნები.

მასალა დამუშავებული იყო სტატისტიკურად. ვთვლიდით მონაცემთა საშუალოსა და საშუალო კვადრატულ გადახრას, ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი, ვსწავლობდით ნიშნების სადიაგნოზო დირექტულებას, ვაფასებდით მგრძნობელობას და სპეციფიკური ბაზების მიმდევარი ცხრილში 1.

## კვლევის უდებები

I და II ჯგუფის ავადმყოფებში ბუ გამოწვეული იყო დილატაციური და იშემიური კარდიოათოით, გადატანილი მოკარდიუმის ინფარქტით, არტერიული ჰიპერტენზიით და აორტული მანკებით. ჩვენ მიერ შესწავლილ ავადმყოფთა კლინიკური და ინსტრუმენტული კვლევის მონაცემები მოყვანილია ცხრილში 1.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუ-ს მქონე პაციენტებთან მარცხენა პარკუჭის დრუს სისტოლური და დიასტოლური დიამეტრები და მოცულობები სარწმუნოდ უფრო მაღალი, ხოლო განდევნის ფრაქცია კი დაბალი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. ეს მაჩვენებლები დიასტოლური ბუ-ს პაციენტებში სარწმუნოდ განსხვავდებოდა სისტოლური ბუ-ს მქონე ავადმყოფების მაჩვენებლებისგან და ამასთან არ განსხვავდებოდა მიღებული ნორმალური მაჩვენებლებისგან. მიტრალური ნაკადის ადრეული ავსების სიჩქარე და ადრეული და გვიანი ავსების ნაკადების სიჩქარეების შეფარდება სარწმუნოდ მაღალი იყო სისტოლური და დიასტოლური ბუ-ს

მქონე ავადმყოფებთან, ხოლო გვიანი ავსების სიჩქარე დაბალი იყო სისტოლური ბჟ-ს მქონე პირებთან (ცხრილი 2).

### ცხრილი 1

სისტოლური, დიასტოლური გულის უკმარისობის მქონე და საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა კლინიკური და ექოკარდიოგრაფული მაჩვენებლები

	I ჯგუფი სისტ. ბჟ	II ჯგუფი დიასტ. ბჟ	III ჯგუფი – საკონტროლო	p < I-II ჯგ	p < I-III ჯგ	p < II-III ჯგ
მამაკაცი ქალი	155 70	23 41	87 59			
ავადმყოფის ასაკი	63.08 ± 11.19	65.08 ± 11.24	63.22 ± 10.09	NS	NS	NS
გულის უქმა- რისობის ფუნ- ქციური კლასი (NYHA) I-II კლასი III კლასი IV კლასი						
	44	19	-			
	121	35	-			
	59	10	-			
გულის ცემათა რიცხვი წუთში	83.71	81.33	73.69	NS	0.001	0.001
არტერიული წნევა (მმვწვ): სისტოლური დიასტოლური	145.40 ± 29.32 85 ± 65	165.23 ± 32.00 93.05 ± 19.00	154.21 ± 25.68 88.19 ± 15.40	0.001 0.005 NS	0.005 0.05 NS	0.05 0.05 NS
სუნთქვის სიხშირე	21.1	20.0	16.9	0.005	0.001	0.001
LVDD (cm)	6.37 ± 0.87	5.47 ± 0.8	4.99 ± 0.66	0.001	0.001	0.001
LVDs (cm)	5.35 ± 0.88	3.71 ± 0.64	3.31 ± 0.66	0.001	0.001	0.001
LVVD (cm <sup>3</sup> )	223.52 ± 68.95	158.52 ± 54.98	127.54 ± 42.59	0.001	0.001	0.001
LVVVs (cm <sup>3</sup> )	152.03 ± 56.42	64.65 ± 25.24	49.98 ± 28.57	0.001	0.001	0.001
EF%	0.33 ± 0.09	0.59 ± 0.079	0.62 ± 0.090	0.001	0.001	0.05
Emit	91.89 ± 27.72	94.87 ± 39.28	58.47 ± 16.02	0.001	0.001	0.001
Amit	48.40 ± 26.82	80.03 ± 32.40	79.83 ± 19.74	0.001	0.001	NS
DTmit	138.45 ± 49.66	181.64 ± 58.92	236.45 ± 50.70	0.001	0.001	0.001
Emit/Amit	2.54 ± 1.42	1.49 ± 1.05	0.77 ± 0.27	0.001	0.001	0.001

სისტოლური ბჟ-ს მქონე პირებს აღნიშნებოდათ მარცხენა პარკუჭის სისტოლური და დიასტოლური მოძრაობის სარწმუნოდ უფრო დაბალი სიჩქარეები, ვიდრე დიასტოლური ბჟ-სა და საკონტროლო ჯგუფის პირებს. ამავე დროს, იზომეტრული შეკუმშვის ფაზაში სისტოლური მოძრაობის სიჩქარე სარწმუნოდ უფრო დაბალი იყო სისტოლური და დიასტოლური ბჟ-ს მქონე პირებში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. ადრეული მიტრალური

ნაკადის გავრცელების სიჩქარე (Pv), ფილტვის არტერიული ნაკადის აჩქარების დრო და მარჯვენა პარკუჭის განდევნის დრო (Pulm AT RVET) სარწმუნოდ დაბალი იყო სისტოლური და დიასტოლური ბუს მქონე პორებში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.

## ცხრილი 2

სისტოლური, დიასტოლური ბუს მქონე პირებისა და საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა ფილტვის არტერიული ნაკადისა და ქსოვილოვან-დოპლეროგრაფული მაჩვენებლები

	I ჯგუფი სისტ. ბუ	II ჯგუფი დიასტ. ბუ	III ჯგუფი საკონტროლო	p < I-II ჯგ	p < I-III ჯგ	p < II-III ჯგ
Pulm AT	$78.28 \pm 1.42$	$83.9 \pm 13.7$	$115.9 \pm 17.3$	0.05	0.001	0.001
RVET	$258.53 \pm 43.9$	$274.6 \pm 37.8$	$291.5 \pm 36.4$	0.01	0.001	0.005
Pv	$30.8 \pm 6.5$	$37.6 \pm 10.1$	$47.4 \pm 15.5$	NS	0.001	0.001
Tis TV lat						
-s	$9.6 \pm 3.5$	$14.6 \pm 5.2$	$15.7 \pm 4.0$	0.001	0.001	NS
-e	$15.1 \pm 5.2$	$15.4 \pm 5.5$	$15.4 \pm 3.5$	NS	NS	NS
-a	$12.0 \pm 7.9$	$17.8 \pm 7.9$	$19.5 \pm 4.8$	NS	0.001	NS
-e/a	$1.05 \pm 0.65$	$1.62 \pm 1.37$	$0.98 \pm 1.74$	0.005	0.001	NS
Tiss IVS						
-sis	$10.6 \pm 3.1$	$14.6 \pm 4.1$	$15.3 \pm 3.2$	0.005	0.001	NS
-ei	$12.7 \pm 0.7$	$14.8 \pm 4.4$	$15.0 \pm 3.7$	0.001	0.001	NS
-ais	$12.9 \pm 6.1$	$16.8 \pm 5.2$	$18.7 \pm 4.2$	0.001	0.001	0.05
-ei/ai	$1.22 \pm 1.226$	$0.94 \pm 0.37$	$0.83 \pm 0.22$	0.001	0.001	NS
Tiss RV						
-slrv	$16.4 \pm 6.8$	$20.2 \pm 9.4$	$23.3 \pm 5.8$	0.001	0.001	0.05
-srv	$17.3 \pm 5.5$	$20.6 \pm 6.1$	$20.2 \pm 3.9$	0.001	0.001	NS
-er	$15.2 \pm 4.6$	$17.4 \pm 5.1$	$17.8 \pm 3.6$	0.005	0.001	NS
-arv	$12.0 \pm 9.2$	$26.3 \pm 6.5$	$24.8 \pm 6.1$	0.05	0.05	NS
-er/ar	$0.91 \pm 0.92$	$0.71 \pm 0.32$	$0.75 \pm 0.19$	NS	0.05	NS

სისტოლური გულის უქმარისობის მქონე პაციენტებიდან 202-ს (89.8%) და დიასტოლური ბუს მქონე პაციენტებიდან 53-ს (82.8%) ფილტვის არტერიული ნაკადის აჩქარების დრო (Pulm AT) 100 მსეკ-ზე ნაკლები იყო. ამავე დროს, საკონტროლო ჯგუფში მხოლოდ 17 ავადმყოფთან (11.9%) აღნიშნული მაჩვენებელი 99 მსეკ-ს არ აღმატებოდა. მაჩვენებლის Pulm AT < 100 მსეკ მგრძნობელობა და სპეციფიკურობა გულის სისტოლური უქმარისობის დიაგნოსტიკური 0.90 და 0.82 იყო, ხოლო გულის დიასტოლური უქმარისობის დიაგნოსტიკური 0.88 და 0.82 იყო, შესაბამისად.

დადგენილია, რომ ექვეარდიოგრაფული განსაზღვრული ფილტვის არტერიული ნაკადის აჩქარების დრო კორელაციაშია ფილტვის არტერიულ წნევასთან, რაც ფილტვის არტერიის კაოგეტერიზაციის მონაცემებთან შედარებით იქნა დადგენილი [2, 3, 6, 8]. აღნიშნული მაჩვენებელი მცირე წრის პიპერტენზიის გამოვლენის მიზნით გულის დიასტოლური უქმარისობის მქონე პაციენტებში შესწავლილი არ იყო.

ჩვენმა კვლევამ გამოავლინა ექოკარდიოგრაფიულად განსაზღვრული ფილტვის აჩქარების (Pulm AT) დროის ძალადი დიაგნოსტიკური დირექტულება გულის უქმარისობისა და საკუთრივ გულის დიასტოლური უქმარისობის დიაგნოსტიკაში. მაჩვენებელი Pulm AT < 100 მსეკ შეიძლება რეკომენდებული იყოს, როგორც გულის დიასტოლური უქმარისობის კრიტერიუმი.

## ლიტერატურა

1. Adams K.F. Jr., Fonarow G.C., Emerman C.L., LeJemtel T.H., Costanzo M.R., Abraham W.T., Berkowitz R.L., Galvao M., Horton D.P. Am. Heart J., 2005, 149, 209-216.
2. Brechot N., Gambotti L., Lafitte S., Roudaut R. Am. J. Cardiol., 1987, 59, 662-8.
3. Gheorghiade M., Abraham W.T., Albert N.M., Greenberg B.H., O'Connor C.M., She L., Stough W.G., Yancy C.W., Young J.B., Fonarow G.C. JAMA, 2006, 296, 2217-2226.
4. Heart Disease and Stroke Statistics, 2008 Update. Heart Failure. Cardiovascular Disease. www.americanheart.org; accessed on May 13, 2009.
5. Kitabatake A., Inoue M., Asao M., Masuyama T., Tanouchi J., Morita T., et al. Circulation, 1983, 68, 302-9.
6. Rennie W.J., Swedberg K. Eur. Heart J., 2001, 22:1527-1560.
7. Yared K., Noseworthy P., Weyman A.E., McCabe E., Picard M.H., Baggish A.L. J. Am. Soc. Echocardiogr., 2011, 24(6), 687-92.

## ИЗМЕНЕНИЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ СИСТОЛИЧЕСКОЙ И ДИАСТОЛИЧЕСКОЙ ФУНКЦИЙ ЛЕВОГО И ПРАВОГО ЖЕЛУДОЧКОВ И СИСТОЛИЧЕСКОГО ПОТОКА В ЛЕГОЧНОЙ АРТЕРИИ У БОЛЬНЫХ С СИСТОЛИЧЕСКОЙ И ДИАСТОЛИЧЕСКОЙ СЕРДЕЧНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТЬЮ

*Д. Цверава, М. Цверава*

Государственный университет им. Ильи; Университетская клиника им. С. Хечинашвили; Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

## РЕЗЮМЕ

Целью представленной работы являлось изучение показателей ЭхоКГ и тканевой доплерограммы у больных с систолической и диастолической недостаточностью сердца (СН) и установление критериев диагностики данного состояния.
